# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 3 ოქტომბერი, 2013 წელი.

№189-190 (7317)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge  ვებ გვერდი: www.open.ge  ფასი 50 თეთრი.


# „იმის თქმა, რომ დაპირებები არ სრულდება, შეურაცხმყოფელია!“

**საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა ტელეკომპანიების საინფორმაციო სამსახურების ხელმძღვანელებსა და თოქ-შოუების წამყვანებთან 2013 წლის 2 ოქტომბერს**



**პრემიერს საქართველოს მოქალაქეობის სასამართლოს წესით დაბრუნება სურს, — ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილმა შეხვედრაზე განაცხადა.**

ჟურნალისტ ვახო სანაიას კითხვას, უფიქრია თუ არა საფრანგეთის მოქალაქეობის დათმობაზე და რატომ არ აკეთებს ამას, პრემიერმა უპასუხა, რომ საკამათოა, როდესაც ჟურნალისტს ასეთი კითხვა უჩნდება.

**„მე სიცოცხლე დავთმე, ქვეყანას რომ დასჭირდა და როგორ ფიქრობთ, მოქალაქეობას გამოვეკიდე და გამოვედე?! მე საფრანგეთის მოქალაქეობის დათმობას ხელიც მოვაწერე, თუმცა ეს ხანგრძლივი პროცესია, ხუთ წუთში ვერ მოხდება. თავი გადავდე და ოჯახი შევწირე და თურმე, მოქალაქეობა ვერ გავიმეტე“,** — განაცხადა პრემიერმა და აღნიშნა, რომ ამგვარი კითხვები არაკორექტულად მიაჩნია.

ბიძინა ივანიშვილის თქმით, საკუთარ თავზე არ უფიქრია მაშინ, როდესაც პოლიტიკაში მოვიდა და „სახლიდან გასვლისას არ იცოდა, დაბრუნდებოდა თუ არა“.

**„ამ კაცის დაკრულზე რატომ უნდა ვიცეკვო, როდესაც ამის აუცილებლობა არ არის?! სააკაშვილმა უეცრად რაღაც გადმომიგდო, რაც უკვე აღარ სჭირდებოდა და მე ამას ხელი უნდა დავავლო?! საფრანგეთის მოქალაქეობა არაფერს უშლის ხელს, რადგან ეს კანონი ახალ წლამდე მოქმედებს. თუ მე დავრჩებოდი პოლიტიკაში, პარლამენტი მზად იყო, შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილება გაეტარებინა. ამას, როგორც ვიცი, მაინც აპირებს პარლამენტი. ლაჩარი არ ვარ და ვიღაცის გადმოგდებულს არაფერს ვიღებ. მე პიროვნება ვარ, ჩემს პრინციპებს ვიცავ და თანამიმდევრული ვარ. რაც წამართვეს, მას სასამართლოს წესით დავიბრუნებ. განხილვას არ ვჩქარობთ, რადგან ეს ხელს შეუშლის ჩემი პრემიერობის პროცესს“,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

**ბენზინი უახლოეს მომავალში გაიაფდება,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ტელეკომპანიების ხელმძღვანელებთან და პოლიტიკური თოქ-შოუების წამყვანებთან შეხვედრაზე განაცხადა.

როგორც ივანიშვილმა აღნიშნა, აზერბაიჯანში ამჟამად ქართული დელეგაცია იმყოფება, რომელიც მოლაპარაკებებს მართავს.

მისი თქმით, ტრანზიტული ფუნქცია არ უნდა დაიკარგოს და უნდა აღდგეს. „ბენზინი მე მგონი უახლოეს მომავალში გაიაფდება, შეიძლება ამ ვიზიტის შემდეგაც, მაგრამ არ მინდა მოვლენებს დავასწრო. ფასები ვერ განახევრდება, ეს არასდროს მითქვამს, მაგრამ დაკლების ტენდენცია იქნება“, — აღნიშნა ივანიშვილმა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, ტრანზიტებით ფული კეთდებოდა და ჯიბეებში გადადიოდა და ამაზე პროკურატურა მუშაობს, დღეს კი ის, რაც ჯიბეებში გადადიოდა გაზსა და ნავთობზე, დღეს სახელმწიფოს ხმარდება.

მისი თქმით, ადეიშვილი და მისი ჯგუფი ახორციელებდა მონიტორინგს მთელ ბიზნესზე და ბაზრობაზე მდგომი ქალბატონებიც კი ჰყავდათ აღრიცხვაზე და ნებისმიერ გადარიცხვას თვალყურს ადევნებდნენ.

რაც შეეხება ფარმაცევტულ ბაზარს, მისი თქმით, ამასთან დაკავშირებით გამზადებული პროექტი არსებობს, რომელიც სიტუაციის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ინფორმაციით, **პოლიტიკიდან მისი წასვლის შემდეგ საპარლამენტო უმრავლესობაში ერთი-ორი კაცი „სიტუაციის აყირავებას“ აპირებს.**

როგორც ივანიშვილმა განაცხადა, ეს პირები სიტუაციის გადატრიალებას ვერ შეძლებენ და ამით მხოლოდ **„საკუთარ თავს აიყირავებენ“.**

იხ. 2 გვ.



## გაეროს ასამბლეა და მისი შედეგები

5

## გიჟები მიდიან

3




გვინდა ასეთი მთავარსარდალი?

## ყველაფერს ვიტყვით, რომელი მოადგილე ვინ არის და ვისთან თანამშრომლობს!

6



## თურქული კულტურული ექსპანსია დაიწყო

7

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

№189-190. ხუთშაბათი, 3 ოქტომბერი, 2013 წელი.

# „იმის თქმა, რომ დაპირებები არ სრულდება, შეურაცხმყოფელია!“

(პირველი გვერდიდან)

**„საზოგადოებასთან ერთად მე ვიქნები უფრო მძიმე მათთვისაც, ვისაც ჰგონია, რომ გაუჩნდებათ დამატებითი ბერკეტები და აზრზე არ არიან — ერთი-ორი არის პარლამენტის უმრავლესობაში ისეთი, ვინც გაგებაში არ არის. ვინც ფიქრობს, რომ გადახტება -გადმოხტება და რაღაცებს გადაალაგებს. ასეთ ქმედებებს მე ვამჩნევ, მაგრამ ისინი არა სიტუაციას, არამედ საკუთარ თავს აიყირავებენ. ვერავინ მოახერხებს სიტუაციის გადატრიალებას“,** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისივე განმარტებით, იძლევა გარანტიას, რომ ყველაფერი იქნება კანონის ჩარჩოში.

**„ყველაფერი იქნება კანონიერების ჩარჩოში — არანაირი აყირავება და ქაოსი არ მოხდება. მაგის ალბათობა არის 2-3 %. გარანტიას ვიძლევი, რომ არავითარი სიტუაციის არევა არ მოხდება“,** — დასძინა პრემიერმა.

გარდა ამისა, დღევანდელ შეხვედრაზე მედიის წარმომადგენლები ბიძინა ივანიშვილისგან იმითაც დაინტერესდნენ, თუ რამდენად დემოკრატიულია, როცა პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე მის შემცვლელს არჩევს მხოლოდ თავად და არა საპარლამენტო უმრავლესობა.

**„პრემიერ-მინისტრი უნდა აირჩიოს საპარლამენტო უმრვალესობამ. რამდენად დემოკრატიულია, რომ შემცვლელზე მხოლოდ თქვენ უნდა მიიღოთ გადაწყვეტილება? როგორც ელცინმა დაასახელა პუტინი“,** — მიმართა ბიძინა ივანიშვილს გადაცემა „რეზიუმეს“ წამყვანმა მერაბ მეტრეველმა, რაც პრემიერმა აღნიშნა, რომ „ელცინთან შედარება ცუდი იყო, თუმცა, მერაბ მეტრეველი კარგი ოპონენტია“.

**„მერაბ მეტრეველი არის კარგი ოპონენტი. რაც შეეხება პრემიერობის კანდიდატს, წინასწარ გავივლი კონსულტაციებს უმრავლესობასთან, რაც საკმარისია.**

**როცა პრემიერს დავასახელებ, ნახეთ, რა კარგი შერჩეული იქნება, პრეზიდენტი გვეყოლება უნიკალური და იმ ადგილზე იქნება საუკეთესო, პარლამენტის თავმჯდომარე უსუფაშვილი არის ძალიან მაგარი და კარგი თავმჯდომარე და პრემიერიც ზუსტად ისეთი იქნება, როგორიც ჭირდება მთავრობას“,** — დასძინა ივანიშვილმა.

**პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ვარაუდობს, რომ პოლიტიკიდან წასვლამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტს ველარ მოასწრებს.**

როგორც ივანიშვილმა მედიის წარმომადგენლებთან გუშინდელ შეხვედრაზე განაცხადა, **ბოლო გადაწყვეტილებით, ვიზიტი ნოემბრისთვის იყო შეთანხმებული, თუმცა, „ალბათ ის ვერ მოხერხდება“.**

**„მე არ ვთვლი, რომ ეს არის ტრაგედია და იგივე ვუპასუხე აშშ-ს ელჩს საქართველოში რიჩარდს (ნორლანდს — რედ.) ბოლო შეხვედრაზე ჩვენს ყველაზე დიდ სტრატეგიულ პარტნიორთან, ყველაფერი გავაკეთეთრაც აუცილებელი იყო. მაქსიმალურად უნდა გავუფრთხილდეთ და შევეცადოთ, რომ ამერიკის ინტერესები საქართველოში არ შესუსტდეს. მგონია, რომ ამ მხრივ კარგი ნაბიჯები გადავდით. ჩვენ გავაღრმავეთ ადმინისტრაციასთან ჩვენი ურთიერთობები. ვაშინგტონში არ წავსულვარ, მაგრამ, ჩემი აზრით, უფრო მეტი გაკეთდა და უფრო კარგად გადალაგდა ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობა“,** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისივე განმარტებით, ამერიკის შეერთებული შტატებისგან დაპატიჟება მიიღო და ამ მხრივ ქართველი ხალხი თავს შეურაცხყოფილად არ უნდა გრძნობდეს.

„დაპატიჟება მე მივიღე — პირველი დაპატიჟება მქონდა სწორედ აშშ-ში, თუმცა, მაშინ ჩავთვალე, რომ არ იყო საუკეთესო დრო. ბოლოს უკვე რიჩარდმა მითხრა, ვიზიტი ნოემბერში დავგეგმოთო. მაშინ არ ვიცოდი მოვლენები როგორ განვითარდებოდა, ახლა ვფიქრობ, ალბათ ვერ მოხერხდება. რიჩარდსაც ვუთხარი, რომ ეს არ არის ძირითადი საკითხი. ეს არაფერს აფუჭებს. შეიძლება არაპოლიტიკოსი ჩავიდე, თუ ამის საჭიროება იქნება“, — აღნიშნა პრემიერმა.

გარდა ამისა, ბიძინა ივანიშვილმა უშუალოდ რიჩარდ ნორლანდზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ის ძალიან ეფექტური, პროფესიონალი და პატიოსანი დიპლომატია.

**„რიჩარდ ნორლანდი არის ძალიან ეფექტური, მაღალი პროფესიონალი, ძალიან პატიოსანი კაცი. არავის შეეპაროს ეჭვი, რომ რამეს ვაჭარბებთ. მახსოვს, იოგის მასწავლებელი შევთავაზე და გამაფრთხილა, ეს კორუფციას ჰგავსო. ასეთი კაცი გახლავთ ბატონი ნორლანდი“,** — დასძინა ბიძინა ივანიშვილმა.



**სახელმწიფო უწყებების ავტოპარკინგის თემაზე კონტროლია დაწესებული, თუმცა, დღევანდელი შედეგებით კმაყოფილი არ ვარ,** — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა შეხვედრაზე განაცხადა.

ბიძინა ივანიშვილი ჟურნალისტ ალეკო ელისაშვილის კითხვას გამოეხმაურა, ზედმეტი ფუფუნება ხომ არ არის საქართველოსნაირი ქვეყნის ისეთი ავტოპარკები, რომლებიც სახელმწიფო უწყებებს, მათ შორის შს სამინისტროს, პარლამენტს და რეგიონებში გამგებლებს ჰყავთ.

როგორც ელისაშვილმა განაცხადა, მან „საერთაშორისო გამჭვირვალობას“ სთხოვა შედარება გააკეთოს რა სახელმწიფო ავტოპარკი ჰყავს გერმანიას, საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთსა და საქართველოს.

**„საქართველოში რიგით დეპუტატს, მის თანაშემწეს და ყავის მომდუღებელსაც კი ავტომანქანა ემსახურება“,** — აღნიშნა ჟურნალისტმა და პრემიერს ამ საკითხით დაინტერესება სთხოვა.

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, კარგია, რომ მედია ამას ყურადღებას აქცევს. „ეს არის ის, რაც გვჭირდება თქვენგან და სწორად აქცევთ ყურადღებას. მიუხედავად იმისა, რომ მრავალჯერ დავსვი ეს საკითხი მთავრობაზე და კანცელარიასაც დავავალე, დღევანდელი შედეგებით არ ვარ კმაყოფილი. ჩემი აზრით, ეს სწორი მინიშნებაა და გეთანხმებით“, — განაცხადა ივანიშვილმა.

რაც შეეხება გამგეობებს, პრემიერის თქმით, იქ სიტუაცია კიდევ უფრო რთულად არის და გამოსავალი ჯერ ვერ ნახეს. როგორც ივანიშვილი განმარტავს, მთავრობას უფლებაც არ აქვს ჩაერიოს ადგილობრივ თვითმმართველობებში.

**„დღეს რეგიონებში კატასტროფა ხდება. რაც იგზავნება ტრანსფერები, ხელფასებზე მიდის და გამგეობებში ზოგჯერ საჭიროზე ხუთჯერ მეტი ადამიანია დასაქმებული. სამინისტროებზეც სწორად მიმანიშნეთ. შინაგან საქმეთა მინისტრიც ალბათ, დღეს ამას ისმენს. მე კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რაც მრავალჯერ მითქვამს, გარკვეულ კონტროლსაც ვაწესებთ, მთავრობის კანცელარიის უფროსი მაია ცქიტიშვილი ხელმძღვანელობს ამ საქმეს. ჩვენ მანქანებსაც ვარჩევთ შესატყვისს, მაქსიმლურად იაფს პერსპექტივისთვის, რომ გადავერთოთ და ყველა სამინისტრომ ეს შეიძინოს. სამინისტროებმა ძალიან ცოტა ახალი მანქანა შეიძინეს. მე რაც ვიცი. უბრალოდ, გრძელდებოდა დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე მანქანების ჩანაცვლება. რომ ყიდულობდნენ რაღაც მანქანებს, მაგალითად „აუდის“, „აუდი“ გარკვეულ დროში შეღავათიან ფასებში აწვდიდა და ავტომატურად ცვლიდნენ ამ მანქანებს. შეიძლება ასეთი რამდენიმე მოხდა ჩვენი მთავრობის პირობებში. ჯერჯერობით, აქ შეიძლება საყვედურიც მივიღო, რომ საკმარისი იყო ის დრო, ამდენხანს დაგვედგინა შესყიდვის პროცესები ყველა სამინისტროსთვის და მათ რიცხვში პარლამენტისთვის. ეს პროცესი გაჭიანურდა და შეიძლება ჩემს თავსაც ვუსაყვედურო“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

**პრემიერმა აღნიშნა, რომ ამ საკითხით მუდმივად ინტერესდება და ცდილობს, პროცესები დალაგდეს.**

„დადებული ხელშეკრულებები ხშირად არ არის იოლი გასაწყვეტი. ეს გასამართლებლად ვთქვი, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ დავაჩქაროთ ეს პროცესი“, —განაცხადა ივანიშვილმა.

**„ხელისუფლება ხალხს არ ეხმარება კი არა, ვერ ეხმარება“, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ცენტრალური ტელეკომპანიების საინფორმაციო სამსახურების უფროსებთან და პოლიტიკური გადაცემების წამყვანებთან შეხვედრაზე განაცხადა.**

ბიძინა ივანიშვილი დვანსა და დიცში მის ჩასვლასთან დაკავშირებულ კითხვებსაც გამოეხმაურა.

**„ჩემი ჩასვლა შეიძლება ჰუმანური და პოლიტიკურადაც მომგებიანი ყოფილიყო. მაგრამ, ჩემი იქ ჩასვლით და თავზე ხელის გადასმით, არაფერი შეიცვლებოდა. მთავრობამ პრინციპულად უნდა შეძლოს, რომ ძალადობა არ დაუშვას, თუ ეს ხდება სახელმწიფოში, უნდა ჰქონდეს საშუალება, ძალას ძალით უპასუხოს. აქ დაირღვა ბალანსი 2008 წელს. რაც მაშინ მოხდა, იმას ვიმკით დღეს ამ სოფლებში. „ნაციონალურ მოძრაობას“ სურს ამაზე ვაგოთ პასუხი და იმას კი არ იხსენებენ, რომ მათ ჩაიდინეს დანაშაული“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

მისი თქმით, ახალ მთავრობას არ შეუძლია ერთ დღეში გამოასწოროს „ის უმეცრებები და სისულელეები“, რაც წინა ხელისუფლებამ ჩაიდინა.

„ზოგჯერს უსუსურობის განცდა გიჩნდება, როდესაც ხედავ შენს მოსახლეობას, რომ ესე ექცევიან და შენ სხვა გასაღები არ გაქვს. **სააკაშვილი მთხოვს შეხვედრას, რომ მასწავლოს, როგორ უნდა მოვიქცე. რაც იცოდა მან, ისეც მოიქცა.** ამან გამოიწვია ჭარბი ძალის გამოყენების საშუალება რომ მიეცა ვილაცას და ჩვენ ამ ჭარბ ძალას ველარ ვაბალანსებთ, საკუთარ მოსახლეობას ღირსეულად ვერ ვიცავთ. მე არ მიჭირს ამის აღიარება“, — განაცხადა ივანიშვილმა.

**დიცსა და დვანში ჩემი ჩასვლა არაფერს არ გააფუჭებდა, თუ დამატებით პოზიტივს არ მოიტანდა,** — ბიძინა ივანიშვილის თქმით, ცუდი არ იქნება იქ ჩასვლა, მაგრამ მთავრობას ბევრი საქმე აქვს.

**„ცუდი არ იქნებოდა, ეს არ იქნებოდა ზედმეტი. არაფერს არ გააფუჭებდა, თუ დამატებით პოზიტივს არ მოიტანდა. გაჭირვებულები ჩვენდა საუბედუროდ არ არიან მხოლოდ დიცში. გაჭირვებულები არიან ყველა კუთხე-კუნჭულში. ცუდი არ იქნებოდა იქ ჩასვლა, მაგრამ თქვენ ერთი რამ გავიწყდებათ და ერთ რამეს ვერ აფასებთ — რამდენი საქმე გვაქვს. რამდენ ადამიანს სჭირდება დამშვიდება და დაწყნარება, თქვენ ვერ წარმოგიდგენიათ. ათასობით არიან ასეთი ადამიანები“,** — აღნიშნა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, იქ ჩასვლა ცუდი არ იქნებოდა, მაგრამ ეს პრინციპულად ვერაფერს შეცვლიდა.

**„მინისტრებიც გუშინ ჩავიდნენო ამბობთ, მაგრამ ჟურნალისტები ხართ და უნდა იცოდეთ, რომ უფრო ადრეც იყვნენ ჩასულები. ის, რომ პრემიერმა მოახერხოს, რომ ყოველთვის ყველგან მივიდეს და ყველას დაწყნარება შეძლოს, რთულია. ცუდი არ იქნებოდა, კარგი იქნებოდა ჩემი ჩასვლა არა მანდ, არამედ იქაც, სადაც ხალხს უჭირს. ეს რომ ვაკეთო, მხოლოდ გზაში ვიქნებოდი მთელი დროის განმავლობაში, იმდენი გაჭირვებული გვყავს. მე ათასად ვერ გავიჭრები“,** — აღნიშნა ივანიშვილმა.

მაინტერესებს, ვინ გიამბოთ ჟურნალისტიკის როლის შესახებ, რამაც ასეთი წარმოდგენა შეგიქმნათ, რაც ჩვენს შეხვედრას ლაიტმოტივად გასდევს, — ამის შესახებ ჰკითხა ტელეკომპანია „მაესტროს“ გადაცემა „პოლიტმეტრის“ ავტორმა ნინო ჟიჟილაშვილმა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს.

ნინო ჟიჟილაშვილი დაინტერესდა, ვისთან გადის პრემიერი კონსულტაციებს ასეთი შეხვედრების წინ.

**„ვინ გიმზადებთ, ვინ გეხმარებათ, კონსულტაციებს ვისთან გადიხართ მსგავსი შეხვედრების ორგანიზებისას. ნაწერი რომ გიჭირავთ, ვისი ნაწერია, რომ გვითხრათ. ვინ გირჩევთ კომუნიკაციის ამ ფორმას ჟურნალისტებთან და აქედან რომ გახვალთ, თუ უსაყვედურებთ მათ?. ეს ფორმა კომუნიკაციის თქვენი არჩევანია თუ არის დამხმარის როლი და კონკრეტულად ვისი? უშვებთ თუ არა შესაძლებლობას, რომ კომუნიკაციის ეს ფორმა იყოს შეცდომა?“,** — იკითხა ნინო ჟიჟილაშვილმა

პრემიერმა უპასუხა, რომ ეს მისი პირადი გადაწყვეტილებაა და მიიჩნევს, რომ ეს ძალიან კარგი ფორმაა.

**„მედია პალიტრის“ ჟურნალისტმა მერაბ მეტრეველმა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს შს სამინისტროდან სახელმწიფო უშიშროების სამსახურის გამოყოფის დაპირება შეახსენა.**

როგორც მერაბ მეტრეველმა აღნიშნა, მან შეხვედრაზე წამოსვლის წინ გადაწყვიტა ჩაეხედა „ქართული ოცნების“ წინაასაარჩევნო პროგრამაში და მოეძებნა ის დაპირებები, რომელიც არ შესრულდა.

**„გადავწყვიტე, ჩამეხედა პროგრამებში, მომეძებნა დაპირებები, რომელთა შესრულებას 8-9 თვე არ სჭირდება, არც ერთი წელი და ამას პოლიტიკური ნება სჭირდება, დავიწყებ შინაგან საქმეთა სამინისტროდან. შსს-დან გამოიყოფა სახელმწიფო უშიშროების სამსახური, „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამიდან ვკითხულობ ციტატებს, დაპირება იყო და ეს არ არის შესრულებული. წინა ხელისუფლების დროს ერთ-ერთი მთავარი პრეტენზია იყო, რომ მათ გააერთიანეს შსს და უშიშროება და შექმნეს მონსტრი. ერთი ადამიანის ხელში გადავიდა ყველაფერის კონტროლი. თქვენი ყველა ლიდერი ამ საკითხზე პრეტენზიას გამოთქვამდა“,** — მიმართა მეტრევლმა პრემიერს.

როგორც პრემიერმა განაცხადა, კონკრეტულ დაპირებაზე მითითებული არ იყო რამდენ ხანში უნდა შესრულებული.

**„როდესაც პოლიტიკოსი გამოდის და კონკრეტულ დროს არ ამბობს, მე ამას გავაკეთებო, ამაში იგულისხმება საარჩევნო პერიოდი, დროში შეზღუდულები არ ვართ. როგორი გქონდათ შს სამინისტრო? სად იყავით ერთი წლის წინ? როგორ ტრაბახობდა ეს ხალხი? როგორ მოვერიეთ კრიმინალს და მეთოდებიც კარგად ვიცით და გახსოვთ ციხეები, კარგად გახსოვთ რას უშვებოდნენ ხალხს? ნახეთ ახლა რა ხდება შსს-ში, ყველა მსგავს მეთოდზე უარის თქმის მიუხედავად, კრიმინალი კიდევ უფრო შემცირებულია და ამ დროს ჩვენ კულტურული პოლიცია მივიღეთ. თუ დღეს გინდათ პოლიციის მისამართით გამოთქვათ პრეტენზია, ეს უკვე თქვენი პრობლემაა. ის, რაც მოხდა, რა პოლიცია გყავდათ და ახლა რა გყავთ; ამის შემდეგ თქვენ მას გინებას და პრეტენზიებს ნუ წაუყენებთ. შეიძლება ამით უკუეფექტი მიღოთ“,** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, ხელისუფლება ძალიან ბევრს მუშაობს საკონსტიტუციო კომისიის შექმნასთან დაკავშირებით, რომ ყოველ წელს კონსტიტუცია არ ვცვალოთ.

**„ბევრი პრობლემაა პროკურატურაშიც. უფრო მეტი პრობლემებია, ვიდრე შსს-ში. ერთი ხელის დაკვრით ჟურნალისტმა არ უნდა ისაუბროს. ჩვენ პრინციპულად განსხვავებული პოლიცია მივიღეთ, ამით უნდა ამაყობდნენ ჟურნალისტებიც და კონკრეტული საზოგადოებაც“,** — განაცხადა პრემიერმა.

ხშირად, ძალიან ბევრი ჟურნალისტის გამონათქვამებში დილეტანტობა და საკითხის არცოდნა იგრძნობა, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა შეხვედრისას. მანვე, ჟურნალისტ ალეკო ელისაშვილისა და ირმა ინაშვილის გამონათქვამებიც წაიკითხა.

**„ყველა ჩემს გამონათქვამზე ვაგებ პასუხს. მე არ ვეთანხმები ალეკო ელისაშვილს. მისი მხრიდან იყო ასეთი გამონათქვამი: არის თუ არა ივანიშვილის წასვლა გაქცევა? ივანიშვილის მთავრობა არ აძლევს ზურაბიშვილს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას; ეკონომიკაში აურზაურია, შეიძლება ითქვას, რომ სტაგნაციაა. ირმა ინაშვილი არ მოსულა. მისი გამონათქვამებიც მინდოდა მომეყვანა, როდესაც ის ამბობს, რომ კოჰაბიტაცია და ათასი სისულელე მოგვახვიეს თავსო და ა.შ. მე მინდა, რომ ეს გამონათქვამები გავაანალიზოთ, მაყურებელმაც მოისმინოს რამდენად კორექტულია ეს. ხშირად, თქვენი და ძალიან ბევრი ჟურნალისტის გამონათქვამებში იგრძნობა დილეტანტობა, საკითხის არცოდნა, ეკონომიკის არცოდნა. ეკონომიკა არ არის ის სფერო, რომელიც ნებისმიერ ჟურნალისტს შეუძლია გამოვიდეს და აკრიტიკოს. ეს არ არის ასე მარტივად. არ არის ისე, რომ მოხვიდე და ზედაპირულად ისაუბრო ეკონომიკაზე, თქვა რომ სტაგნაციაა, თქვა, რომ დაპირებები არ სრულდება. შეურაცხმყოფელია პირდაპირ“,** — აღნიშნა ივანიშვილმა.

კანდიდატებზე თქმული

# გიჟები მიდიან

**კაცმა რომ თქვას, 23 კანდიდატი არც ისე ბევრია, მით უმეტეს, რომ თავიდან სულაც 52 თუ 54 იყო. ვიღაცას, შესაძლოა, მოეჩვენოს, რომ ბევრია და იქნებ აღნიშნოს კიდეც, რა ამბავიაო, მაგრამ გარწმუნებთ – სულაც არ არის ბევრი. ერთი, ორი ან სამი ნული რომ მიგვეწერა, მაშინაც ცოტა იქნებოდა, აი ოთხი ნულით – ნორმალური, ხოლო ხუთი ნულით – სულ მთლად გადასარევი, რადგან 23 და ხუთი ნული, ანუ ორი მილიონ სამასი ათასი იქნებოდა ყველაზე ლოგიკური, რადგან ამომრჩეველი არის დაახლოებით მაგდენი, და რომ იტყვიან ხოლმე, ყველა ქართველს პრეზიდენტობა სურსო, ეგ არის ტყუილი. ყველას — არა, დაახლოებით ყველას. ამ ფონზე კი, 54 არც ისე ბევრია, ხოლო 23 — ძალიან ცოტა.**

„ია-23 კვლავ ხაზზეა“ — 70-იანი წლების იმ ცნობილი პოლონური სერიალიდან მხოლოდ ეს დამამახსოვრდა და კიდევ ეს: „თქვენ იდიოტი ხართ, კლოს“.

მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ზუსტად ოცდასამია ხაზზე, მათგან მხოლოდ ოთხზე თუ იტყვი, რომ გასაგები მიზანი და კონკრეტული ამოცანა აქვთ, დანარჩენები კი... მიზნები და ამოცანები მათაც აქვთ, თუმცა, რამდენად გასაგები და რამდენად კონკრეტული, საკითხავი აი, ეს არის. ლამისაა, ჰამლეტივით დავჯდე და თავის ქალას ველაპარაკო.

ჩემთვის კონკრეტულ კანდიდატთა ჩამონათვალი ასეთია:

**გიორგი მარგველაშვილი** — მას უნდა, რომ გაგრძელდეს ის, რაც ერთი წლის წინათ დაიწყო და დასრულდეს ის, რაც უკვე 23 წელია, გრძელდება. გასაგებია, რაც უნდა გაგრძელდეს, დასრულებით კი, უნდა დასრულდეს ქარიზმული გიჟების ეპოქა. საქართველოს წესიერი, ზრდილობიანი, განათლებული, საქმიანი და ოჯახში აღზრდილი პრეზიდენტი სჭირდება, ისეთი — ამდენ უბედურებაში ბრალი და წვლილი რომ არ მიუძღვის.

**ნინო ბურჯანაძე** — მას რევანშის წყურვილი ამოძრავებს. რამდენჯერმე გადააგდეს და საშუალება რომ ჰქონდეს, თავის გადამგდებებს ისე მოისროდა, როგორც აბელ არავიძე ისვრის ვარლამ არავიძეს. მგონი, არ უნდა იყოს ცუდი შედარება, მაგრამ არის ამაში რაღაც ქარიზმული და ცოტათი გიჟურიც. ნინო ბურჯანაძეს ილუზიები არ აწუხებს, ადგილობრივი არჩევნებისთვის ემზადება.

**დავით ბაქრაძე** — მასში არც ქარიზმაა და არც სიგიჟე, თუმცა, იგი მეორე უკიდურესობაა. როცა შენი საძმაკაცო-სათანამზრახველოს ოჯახები ქვეყნიდან გასაქცევად ემზადებიან, ხოლო შენ, დაბნეული და შეშინებული, ხალხს მოუწოდებ, კოვზებით აღიჭურვეთ და ჩანგლებით შეიარაღდითო... ვინ ხარ შენ, აბელ არავიძევ? ბაქრაძის მიზანი გასაგებია — დარჩეს პოლიტიკაში. გასაგებია მისი ამოცანაც - პოლიტიკაში დარჩეს დიდი ხნით, რათა ის, ვინც მაშინ მას დაუჯერა და მტერზე კოვზით გაიწია, როგორც კი ამის შანსი მიეცემა, ცივი იარაღის ტარებისთვის დაიჭიროს. აქაც რევანშის სუნი მცემს. ბაქრაძეს პოლიტიკაში დარჩენა სურს, რაც იმას ნიშნავს, რომ ილუზიებით არის შეწუხებული.

**ხარატიშვილი** ეროვნულ მოძრაობაში გავიცანი, სტუდენტები მეტროს გადასასვლელში ეროვნული მოძრაობის გაზეთებს ვარიგებდით, კომუნისტებს ვებრძოდით. ხარატიშვილს პოლიტიკაში მოსვლა სურს.

რაღაც, ძალიან დავსერიოზულდი... არ მახასიათებს, მაგრამ ეს — მათ ჯინაზე, რომლებიც, პირს რომ გააღებენ, თითქოს ეს არის და, ახლა მეტყვიან: „თქვენ იდიოტი ხართ, კლოს“.

რატომ ვარ იდიოტი? **ქართლოს ღარიბაშვილის** არსებობა რომ დამავიწყდა, იმიტომ?! თუ, იქნებ, იმიტომ, **აკაკი ასათიანის** მაკვარანცხობები რომ არ მავიწყდება?! თუ იმიტომ, **თეიმურაზ ბობოხიძისა** და **თეიმურაზ მჟავიას** შესახებ არაფერი რომ არ მსმენია და **მამუკა ჭოხონელიძისა** და **მამუკა მელიქიშვილის** შესახებ რომ არაფერი ვიცი?! ვინ არიან **ნუგზარ ავალიანი** და **თამაზ ბიბილური?** საიდან მოვიდა **გიორგი ჩიხლაძე,** სად მიდის გიორგი ჩიხლაძე, სად არის **ნესტან კირთაძე,** სად ბანაობს **სერგო ჯავახაძე** და, ბოლო-ბოლო, რა უნდა **ავთანდილ მარგიანს?**

**მიხეილ სალუაშვილი** ტექნიკურ უნივერსიტეტში ლითონის კონსტრუქციებს ასწავლიდა — ეს ზუსტად ვიცი, მე მასწავლიდა. რას სწავლობდნენ და ვისთვის რა უნდა ესწავლებინათ **ლევან ჩაჩუას** და **ნინო ჭანიშვილს?** იქნებ — ასწავლეს, იქნებ — ახლაც ასწავლიან, შესაძლოა — ისტორიას, მაგრამ ისტორიის მთავარი გაკვეთილი ის არის, რომ ისტორიის გაკვეთილებს არავინ ითვალისწინებს,



გვინდა ასეთი მთავარსარდალი?

ისტორიის მასწავლებლებიც კი.

ვიცი, რომ ერთ-ერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, რომლის გვარიც **„დ“**-ზე იწყება და **„ავითაშვილზე“** მთავრდება, ზომაზე მეტად უყვარს შამფურზე შემწვარი ზუთხი...

ვიცი, რომ ჟურნალისტიკიდან პოლიტიკაში და პოლიტიკიდან ჟურნალისტიკაში მოხეტიალე ერთი ფორვარდი მუდმივად მოედნის ცენტრში დგას, მაგრამ არა იმიტომ, რომ ცენტრისტია (როგორც თავად ირწმუნება), არამედ იმიტომ, რომ ელოდება, საიდან საით დაუბერავს ხეირის ქარი. აი, ეგრე დგას და ამბობს, რომ თერთმეტმეტრიანს ათ თეთრად გაიტანს, ცხრიანში ხუთ თეთრად შეაგდებს, ხოლო საგოლე პასებს უფასოდ დაარიგებს. ამბობს, ამირჩიეთ და ერთსქესიან ქორწინებას ვერავინ დააკანონებსო, თუმცა მისი პოლიტიკური და ჟურნალისტური კარიერა, სწორედაც რომ ერთსქესიანი ქორწინების განსაკუთრებული მაგალითია.

ჰო, კოლმეურნეობის თავმჯდომარე და უგოლო ფორვარდი ნამდვილად აცდებიან ნულპროცენტიან ბარიერს და იქნებ ერთპროცენტიანიც მოიტოვონ უკან, მაგრამ, ერთი ჭკვიანი კაცის თქმისა არ იყოს, ხმები არ უნდა ითვლებოდეს, უნდა იწონებოდეს.

ხოლო ისინი, უცნობები, X-ადამიანები, იქნებ, ეგრეც დარჩნენ ოჯახის წევრებისა და კარის მეზობლების ხმათა ამარა, მაგრამ, როგორც ვხვდები, მეტზე პრეტენზია არც აქვთ. მათთვის მთავარია მონაწილეობა და არა გამარჯვება, იქნებ მომავლის ჭვრეტაც — ამაყი შთამომავლები ხომ მათ პრეზიდენტობის კანდიდატად გაიხსენებენ!

იქნებ, მეგობრების რაოდენობა აინტერესებთ? ამ ვერსიაში არის რაციონალური მოლეკულა, მაგრამ როცა იქნება, ყველანი ხომ დავიხოცებით, ცხოვრება ხომ პანაშვიდზე მომსვლელი ხალხის მოგროვებაა და ეგრევე ხომ არ წავალთ იქ, სადაც გაგვზომავენ და შეგვაფასებენ? 40 დღე ხომ აქ უნდა ვიყოთ? ვიყოთ, დავთვალოთ და შევაფასოთ ისინიც და საკუთარი თავიც.

მე არა, მაგრამ ბარე ორს აუცილებლად მოეკითხება - ის როგორ იყო, ამდენი კანდიდატები რომ იყავით და თქვენს გამო უამრავი ხე რომ მოიჭრაო! რომელი ხეო, იკითხავენ ესენი... საარჩევნო ბიულეტენი ქაღალდზე იბეჭდება, ქაღალდის დასამზადებლად იჭრება ხე და, მე რომ მაწვალებ - მაწვალებ, მაგრამ შვილებს ტყე მაინც შეუნახე!

შალვააა... „ფული ბევრი გვაქვს, შალვააა“ — პატარა ვიყავი, მშობლებმა რუსთაველის თეატრში „კავკასიური ცარცის წრეზე“ რომ წამიყვანეს. საოცრება იყო... ბავშვი ვიყავი. მაშინ განსაკუთრებით ეს დამამახსოვრდა — „ფული ბევრი გვაქვს, შალვაა!!!“

პოლიტიკა ბინძური რამეაო, მაგრამ არც ისე ბინძურია, ერთ მავანთ-მავანს პოლიტიკოსობა რომ დავაბრალო.

არც შალვა იყო პოლიტიკოსი და არც ეპისკოპოსი დესმონდ ტუტუ იყო კაციჭამია დიქტატორი, როგორც შალვა აბრალებდა.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა — ქარიზმული გიჟების ეპოქა სრულდებოდა.

**გიგი მესვეტე**

კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

**● ამ სკოლის დირექტორებს კანონის ძალით მაინც ოუკრძალეთ ბაღნების ქუჩაში გამორეკვა წინასაარჩევნო კამპანიის დროს.**

**● გილოცავთ ამ დიდ გამარჯვებას!!!**

**მჯერა, რომ მიშას და მის ძველ თუ ახალ ნარჩენებს საბოლოოდ მოვიშორებთ 27 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ!!! იმედი მაქვს, სამართლიანობის აღდგენა ამ წლის ბოლომდე (ანუ 31 დეკემბრამდე) იმდენად შესამჩნევი გახდება, რომ „ბრმა“, „ყრუ“ და უმადურიც გარკვეულ შვებას იგრძნობს.... მჯერა, 2014 წელი სულ სხვა — სიხარულის წელი იქნება! გილოცააააააააავთ!!!!**




**● გამარჯვების ერთი წლის თავის მიძღვნილ პოსტებს რო დაწერთ, არ დაგავიწყდეთ „ბუს კვერცხები“ და „ჩვენი ყველაყისა“ ცალ-ცალკე იწერება.**

**● რატომაა დასჯადობის ნაცვლად, ოთხწლიან მატერიალურ ნირვანაში ყოფნის გარანტია გაყალბებით პარლამენტში შეძრომა? რატომ არ გსურთ, შექმნათ პირველი, ვითომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყალბი პარლამენტის დათხოვნის პრეცედენტი? აღარ მოგბეზრდათ სიყალბის მუდმივ რეჟიმში ცხოვრება?**

**● ქუჩები სავსეა საპარიკმახეროებითა და ბანკებით, ირგვლივ კი წვერმოშვებულები და უფულოები დააბიჯებენ.**

**● მაიცათ და ეს როგორ? კაცს წინასწარი პატიმრობა უკვე შეუფარდეს „ტალიბანის ვიდეოების“ საქმეზე და ამის შესახებ სახელმწიფოში არავინ არაფერი იცის? თვით თავდაცვის მინისტრმაც? აუჰ!**

**● შარშან, ზუსტად ამ დროს, საარჩევნო უბანთან ვიდექით და ნაცებისგან ვიცავდით ხმებს. 27-ში კიდევ ვისგან მომიწევს დაცვა?**

**● ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ... ქვეყანა კი ნადგურდება, ნადგურდება და ნადგურდება... საქართველო აღარ იქნება და ესენი კვლავ ილაპარაკებენ, ილაპარაკებენ და ილაპარაკებენ.**

**● უფასო რჩევა შსს მინისტრს.**

**განაცების მიტინგი დასარბევი თუ გახდა, პოლიციელებს რეზინის ტყვიების მაგივრად ნივრის თავები უნდა დაურიგდეთ, სახანძრო მანქანებში ნაკურთხი წყალი უნდა ესხას. ხელკეტების ნაცვლად კი ვერცხლის წაწვეტებული, ჯვრის ფორმის მარგილები, იმ წუილა მანქანის მაგივრად „მამაო ჩვენო“ ბოლო ხმაზე...... ერთიანად დაიხრუკებიან და აორთქლდებიან.**

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძე**

ალიან-ჩალიანი

# ბარნოვმა დვანში პროვოკაცია გააგრძელა და კინაღამ სერგეენკოს შემოელანძღა

**სოფელ დვანში დავით სერგეენკოსა და სხვადასხვა პროფილის ექიმების პარალელურად, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ანდრო ბარნოვი ჩავიდა.**

**ბარნოვის დვანში ჩასვლა 13:30 საათისთვის იყო დაანონსებული, თუმცა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გადაწყვეტილება შეცვალა და 12:30-საათზე, სწორედ სერგეენკოს ვიზიტს დაამთხვია სოფელში ჩასვლა. ანდრო ბარნოვი იმ ადგილას მივიდა, სადაც რუსი საოკუპაციო ჯარის წარმომადგენლები დგანან და განაცხადა, რომ პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი და მთავრობის პირველი პირები დვანში ხალხთან შესახვედრად არ ჩადიან, რადგან რუსეთის საოკუპაციო ჯარის წარმომადგენლების ეშინიათ.**

**ანდრო ბარნოვმა მთავრობა იმის გამოც გააკრიტიკა, რომ შექმნილი მდგომარეობის ფონზე, წყალიც კი არ მიაწოდეს ადგილობრივებს. მისი თქმით, ადმინისტრაციის წევრებთან ერთად საკუთარი ბიუჯეტიდან, ანუ პირადი ბიუჯეტიდან გაიღეს გარკვეული თანხა და საყოფაცხოვრებო ნივთები და რაღაც პროდუქტები ჩაუტანეს ადგილობრივებს.**

**მთავრობის კრიტიკის შემდეგ, ბარნოვი იმ ადგილას გაემგზავრა, სადაც სერგეენკო იმყოფებოდა და ექიმები ადგილობრივ მოსახლეობას სამედიცინო გამოკვლევებს უტარებდნენ. ბარნოვმა ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების მინისტრი იმის გამო გააკრიტიკა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის დიდ უმრავლესობას სოციალური დახმარება შეუწყდა. თუმცა, სერგეენკო აცხადებს, რომ აღნიშნული დადგენილება ჯერ კიდევ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნისას იყო მიღებული, რომ 2013 წლის ზაფხულიდან ეს დახმარებები უნდა შეწყვეტილიყო. სერგეენკოს განცხადებით, ამჟამინდელი მთავრობა ყველანაირად ცდილობს ამ პროცესის დარეგულირებას და იმას, რომ მოსახლეობის დიდ უმრავლესობას სოციალური დახმარება შეუნარჩუნდეს.**

**სერგეენკომ ბარნოვს მოუწოდა, რომ მსგავსი სპექტაკლების გამართვისგან თავი შეეკავებინა და ნუ უშლიდა ხელს თბილისიდან ჩასულ ექიმებს ადგილობრივი მოსახლეობის უფასო გასინჯვაში. ბარნოვს კამათი მოუხდა ადგილობრივი მოსახლეობის ერთ ჯგუფთანაც.**

**დვანელების ერთი ნაწილი აცხადებს, რომ სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“„ მხრიდან დაშვებული შეცდომების გამოა დღეს ამგვარი მდგომარეობა ოკუპირებულ ტერიტორიაზე. დვანელები იმასაც აცხადებენ, რომ მავთულხლართების გაბმა, რაზეც დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ აკეთებს აქცენტს, დღეს არ დაწყებულა და 2009 წელში დაიწყო.**

**ანდრო ბარნოვს, დვანელებმა დემაგოგი უწოდეს. — შენ ხარ დემაგოგი, ჩამოხვედი აქ და დემაგოგიას ეწევი. ამდენი წლის განმავლობაში 2008 წლის შემდეგ არ გაგხსენებივართ „ნაციონალურ მოძრაობის“ წარმომადგენლებს, ახლა გინდათ, რომ მოქმედ მთავრობას ხელი შეუშალოთ, არჩევნები მოდის და გინდათ ჩვენს ხარჯზე პიარი გაიკეთოთ, — მიმართეს დვანელებმა ბარნოვს.**

**ინტერპრესი**

◉ ინტერვიუ

# ივანიშვილის მთავარი მისია საზოგადოების გაერთიანებაა

## ნომრის სტუმარია მწერალი, „ქართული ოცნების" ხარაგაულის შტაბის ხელმძღვანელი მერაბ შათირიშვილი



— მე თანამდებობას არ ვეძებ (როცა ბრძოლაა, რიგითი ჯარისკაცობაც საკმარისია), უბრალოდ, ჩემს ქვეყანაზე შემტკივა გული, ამიტომ პირველი დღიდანვე დავუდექი გვერდში ბიძინა ივანიშვილს. პარტიის წევრი არ ვყოფილვარ, მაგრამ არ ყოფილა მიტინგი, შეკრება, რომ არ მივსულიყავი. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, არასოდეს მხარედ არ გამოვსულვარ, რადგან მე ყოველთვის ხალხის რიგებში ვრჩებოდი. ამჯერად, მოქცეული ვარ იმ ვერტიკალში, რომელიც ცდილობს, ხელი შეუწყოს საქართველოში ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შექმნას. და მჯერა, რომ წინ საინტერესო გზა გველოდება, რა თქმა უნდა, ის არ იქნება ვარდებით მოფენილი. მთავარია, საზოგადოება, რომელიც დღეს გახლეჩილია, გაერთიანდეს!

**— თქვენი აზრით, რამ გახლიჩა ერი, რა გახდა ამ პროცესების წარმმართველი ძალა?**

— შევეცდები, რაც შეიძლება მოკლედ ავხსნა ეს, რადგან მას ძალიან ღრმა ფესვები აქვს. კომუნისტური იდეოლოგია იყო ერთი, საბჭოთა კავშირი პრინციპში ინარჩუნებდა ერთიან საზოგადოებას, რომელიც ასე ვთქვათ სოციალიზმს აშენებდა. ეროვნული მოძრაობის შემდეგ სათავეში მოვიდა ეროვნული მთავრობა, ხალხმა კი 87 პროცენტით მხარი დაუჭირა ბრწყინვალე პიროვნებას, არაჩვეულებრივ ქართველს ზვიად გამსახურდიას...

**— ცოტა არ იყოს მესიანისტური იერით...**

— არა, არა შევეშვათ კრიტიკას. ის მოვიდა ხალხის წინაშე ანგარიშვალდებულებით. მაგრამ 6 თვეში მისივე გარემოცვაში მოხდა განხეთქილება. ისინი მიიჩნევდნენ, რომ პრეზიდენტი ანგარიშვალდებული იყო მათ წინაშე. ხალხის ნებას ანგარიში არ გაეწია და დაიღვარა სისხლი. შემდეგ იმავე გარემოცვამ ჩამოიყვანა „კომუნისტური წყობიდან გამოკვეთილი მესია" შევარდნაძე. მას ეყო ეშმაკობა და ამ გარემოცვის „ტყვე" რომ არ ყოფილიყო დააპატიმრა ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი. საარჩევნოდ კი ახალგაზრდებისგან შექმნა პარტია, „მოქალაქეთა კავშირი" და გახდა ამათი ხელშეწყობით პრეზიდენტი. თუმცა, ამ ჯგუფმა თავი იმდენად აიშვა, რომ მათსა და ხალხის წინაშე ანგარიშვალდებულებას შორის შევარდნაძე დაიბნა. კარგად იცით, რომ სწორედ თავისმა გარემოცვამ გაისტუმრა შევარდნაძეც.

**— მოვიდა სააკაშვილი ხელისუფლებაში, ისეთივე დიდი მხარდაჭერითა და აღტკინებით, როგორც მისი წინამორბედები...**

— დიახ, სააკაშვილიც ხალხის წინაშე უნდა ყოფილიყო ანგარიშვალდებული, თუმცა მას ეს გრძნობა გაუნელდა და წინ წამოსწია მისი გუნდის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა. ის გახდა არა ხალხის, არამედ ნაციონალური მოძრაობის პრეზიდენტი. სწორედ ამიტომ გაიხლიჩა ერი. სააკაშვილმა საზოგადოების ნაწილში „ჩემიანები" შექმნა: საჯარო სამსახურებში, პოლიციაში, კულტურაში, სპორტში... მას ყველგან თავისი ხალხი ჰყავდა. ამან გამოიწვია განხეთქილება...

ამის ფონზე მოვიდა ბიძინა ივანიშვილი და მას ხალხი გაჰყვა.

**— თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ ივანიშვილს, წინამორბედისაგან განსხვავებით მძაფრად აქვს ხალხის წინაშე ანგარიშვალდებულების განცდა?**

— რა თქმა უნდა! ივანიშვილს ხალხი ენდო. ის არ გაურბის ანგარიშვალდებულებას და ის ამ მისიას არ უღალატებს, გამორიცხულია!.. ეს უკვე ჩანს მას არ გადაუდგამს ნაბიჯი, რომელიც ამას არ ასახავდა და ეს შემიძლია ფაქტებით გითხრათ...

თუნდაც ის ლმობიერება, რომელიც ბიძინა ივანიშვილის გამონათქვამებიდან გამოსჭვივის ნაციონალების მისამართით.

**— კოჰაბიტაცია?**

— კოჰაბიტაცია ცუდი სიტყვა არ არის, ეს თანაარსებობას ნიშნავს.

— მან რაც თქვა, ძირითადად გააკეთა. თქვა, ხელისუფლებაში მოვალო, მოვიდა, წელში გადატეხა ნაციონალური მოძრაობა. უკმაყოფილო გლეხი მე ჯერ არსად შემხვედრია. სოციალური კუთხითაც ბევრი რამ კეთდება. მე უფრო სხვა მნიშვნელოვან დეტალს ვუსვამ ხაზს: ფაქტობრივად, ბიძინა ივანიშვილმა კარგად იცის, რომ თუ „ქართული ოცნება" ხალხის წინაშე ანგარიშვალდებულებას დაკარგავს, დაემსგავსება ნაციონალურ მოძრაობას. ქართველი ხალხი კი არის პოლიტიკურად მომწიფებული, მაგრამ ჯეროვნად არა აქვს გაცნობიერებული, რომ მან უნდა აკონტროლოს ხელისუფლება.

**— და ამას შეიგნებს პრემიერ-მინისტრის გადადგომის შემდეგ?**

— სად მიდის ის? ის მიდის ხალხთან, კიდევ უფრო ძლიერ ფრონტზე.

მაგრამ ეს სრულებითაც არ გულისხმობს კანონდარღვევის პატიებას. თუ მერაბიშვილი დამნაშავეა და დაიჭირა, უკიჟინებენ, პოლიტიკური ნიშნითაა დაპატიმრებულიო. ანუ დამნაშავეებს არ უნდათ კანონის წინაშე პასუხისმგებლობა. ნაციონალებს ისეთი კოჰაბიტაცია უნდათ, რომ ყველა დანაშაული ეპატიოთ. ეს კოჰაბიტაცია კი არ არის, გარიგებაა.

გახსოვთ, როგორ დაიწყო „ვარდების რევოლუციის" შემდეგ დამნაშავეების პასუხისგება? განა კანონის წინაშე პასუხი აგებინეს?! „გაპარსეს", ფულები მოატანინეს. თუ ბიუჯეტში 3 მილიონს შეატანინებდნენ, ჯიბეში 10-ჯერ მეტს იდებდნენ. ჩინოვნიკები რამდენიმე თვეში მილიონრები გახდნენ.

**— ახლა ყველაფერი კანონის ჩარჩოებში მიმდინარეობს და ეს ნიშნავს ივანიშვილის მხრიდან ლმობიერებას?**

— დიახ, ვისაც დანაშაული ჩადენილი აქვს, მან პასუხი უნდა აგოს! გახსოვთ ასევე, რომ სააკაშვილის წინააღმდეგ 300 ათასი კაცი შეიკრიბა და უთხრა — გადადექიო! მან ყურიც არ ათხოვა. ის არ ფიქრობდა საერთოდ პასუხისმგებლობაზე. არ მინახავს, თუნდაც 100 კაცი გამოსულიყო ივანიშვილის წინააღმდეგ, მაგრამ ის თავისი ნებით ამბობს — თანამდებობიდან მივდივარო. ე. ი. ამით ნერგავს ქართულ სინამდვილეში პოლიტიკურ ნებელობას იმისა, რომ არ შეიძლება ადამიანი სკამს ჩაებღაუჭოს.

**— ივანიშვილი არ ღალატობს ხალხის წინაშე ანგარიშვალდებულებას? კი, მაგრამ საზოგადოება არ აჩქარებს მას წასვლას, პირიქით, გასაკეთებელი ჯერ არ გაკეთებულაო.**

**— ოპოზიციაში ჩაუდგება თავისივე ხელით დაკომპლექტებულ ხელისუფლებას?**

— ოპონირება ნიშნავს კრიტიკას...

**— მაშინ ასე ვთქვათ, რომ ის თვითკრიტიკული იქნება.**

— მოდით, უკეთ ავხსნათ. აი, დასახელდა გიორგი მარგველაშვილი პრეზიდენტობის კანდიდატად, ის არც ერთი პარტიის წინაშე არ იქნება ანგარიშვალდებული. მაგრამ თვალში ნაცარს ნუ შევიყრით, პრინციპში ის ივანიშვილის დასახელებულია და პასუხისმგებლობაც მის წინაშე აქვს აღებული. პრიორიტეტი ივანიშვილის დასახელებას ჰქონდა. ბიძინა ახასიათებს მას კარგ პიროვნებად, რომელიც ხალხმა უნდა აირჩიოს. მარგველაშვილმაც კარგად იცის, მას ხალხი იმ ნდობის გამო აირჩევს, რაც ბიძინას მიმართ აქვს. სრულიად დარწმუნებული ვარ, მარგველაშვილს აირჩევენ პრეზიდენტად და მას შინაგანად რომ არ ჰქონდეს ანგარიშვალდებულება ბიძინას მიმართ, ამასაც ხელიდან აცლის ივანიშვილი თავისი წასვლით. ის მარგველაშვილს სრულებით შიშველს ტოვებს ხალხის წინაშე. ხალხია ქვეყნის მმართველი, ჩემო კარგებო, და როგორ გგონიათ, სად უფრო იქნება ძლიერი ბიძინა ივანიშვილი, პრემიერ-მინისტრის რანგში თუ ხალხის გვერდით?!

**— იქ რა რანგი ექნება მას, როგორ წარმოგიდგენიათ?**

— ის იქნება ბიძინა ივანიშვილის რანგში. რა, ხალხისგან არ გამოვიდა, ხალხმა არ მოიყვანა? ის ხალხში ბრუნდება. როგორ გგონიათ, რომელიმე ხელისუფალი გაუძლებს და არ გაითვალისწინებს ხალხის მითითებას? სწორედ ესაა პასუხი იმისა, რაც ზემოთ მკითხეთ. კრიტიკული იქნება ივანიშვილი, მაგრამ არ დაუპირისპირდება, პირიქით ხალხი გაერთიანდება.

**— ბატონო მერაბ, გასაგებია, რომ ივანიშვილი ხალხს უბრუნდება, მაგრამ არ მოსწონს უმეტესობას ის გუნდი და ის ხელისუფლება, რომელსაც ის გვიტოვებს. ამაზე რას იტყვით?**

— ბიძინას არ ჰყავს ერთი გუნდი. მას უნდა, საყოველთაო პოლიტიკურ-საზოგადოებრივმა ცხოვრებამ იდუღოს საქართველოში და პროცესების მიმდინარეობისას გამოიკვეთოს კარგი და ცუდი. ცუდი იმ მხრივ, რომ ხელმეორედ ხალხი არ აირჩევს, თორემ ნაგავში გადაგდებას კი არ გულისხმობს. შეიქმნა კოალიცია, რომელსაც აქვს სრული თავისუფლება და ხალხი თავად განსჯის და შეაფასებს, კარგია თუ ცუდი.

**— თქვენი წინასაარჩევნო კამპანიაც სულ თავისუფლებაზეა დაფუძნებული?**

— რა თქმა უნდა. ჩვენ ამომრჩეველს რომ ვხდებით, ვეუბნებით, რომ ხმა ვისაც უნდა, იმას მისცეს, ოღონდ ქვეყნისთვის სასიკეთო საქმე აკეთოს. მასწავლებელი ხარ? მთავარია, მოსწავლე კარგად აღზარდო და არჩევანი ვისზეც გსურს, მასზე გააკეთე. ნაციონალები, გახსოვთ, როგორ პირიქით აკეთებდნენ ყველაფერს. თავისუფალი საზოგადოება, თავისთავად მომგებიანი მდგომარეობაა.

ამიტომაც, თუკი ხმას მისცემენ მარგველაშვილს, ისინი ხმას მისცემენ თავისუფლებას. გიორგი ინტელექტუალური ადამიანია, მას არ სჭირდება ბიზნესის შექმნა, პარტიის ჩამოყალიბება, უბრალოდ, ადამიანი თავისი პროფესიის ერთგულია და 4 წლის შემდეგ ამ საქმეს დაუბრუნდება. არ ჩაეჭიდება სკამს, თანამდებობას... ამის მაგალითი ეყოლება კიდეც ივანიშვილის სახით.

**— ვირჩევთ პრეზიდენტს გაცილებით ნაკლები უფლებამოსილებით, მაგრამ დაგვინიშნავს ივანიშვილი პრემიერს გაზრდილი უფლებებით...**

— პრეზიდენტს საკმარისი უფლებები აქვს საიმისოდ, რომ ქვეყანა წარმატებული გახადოს. მარგველაშვილი უცხო არ იქნება თავისი მთავრობისთვის და მის წევრებს არ გაუჭირდებათ მასთან თანამშრომლობა. მთავარია, ისინი ჩადგნენ ხალხის სამსახურში. არ იქნებიან ხალხის მსახური? არ აირჩევს მათ ამომრჩეველი ხალახლა...

**— უკვე საუბრობენ კიდეც ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე, თქვენი პოზიცია როგორია?**

— პირველი ვიყავი „ქართული ოცნებიდან" რომელმაც ჯერ კიდევ გასული წლის 15 აგვისტოს ვთქვი, რომ ეს არჩევნები არ ასახავდა ხალხის განწყობას, ამით დაიწმინდება-მეთქი პოლიტიკური სპექტრი. მაშინ ვივარაუდე კიდეც, მალე დადგება ხელახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის აუცილებლობა-მეთქი. თუმცა ახლა ვფიქრობ, რომ ამან შესაძლოა, ხელი შეუწყოს პოლიტიკური კრიზისის წარმოქმნას. იმიტომ, რომ ჯერ არ არიან მოძლიერებული პარლამენტს გარეთ დარჩენილი პარტიები. ამიტომაც არის კარგი ივანიშვილის ხალხის რიგებში გადმონაცვლება. სანამ ის კოალიციის სათავეში, ან პოლიტიკაში იქნება, ყოველთვის იქნება ბარიერი სხვა პარტიებისთვის. მან ასევე განაცხადა, რომ მთელი ჩემი ფულადი რესურსის 90 პროცენტი ხალხს უნდა მოვახმაროო და ამის გასაკეთებლად მას ხელ-ფეხი უთავისუფლდება. ესეც არაა, ხომ, პატარა განაცხადი.

**— მას ახლა არა აქვს შესაძლებლობა, დახარჯოს ფინანსები, მაგრამ თანამდებობის დატოვების შემდეგ ის კვლავ ქველმოქმედებას მიჰყოფს ხელს, ოღონდ კიდევ უფრო მეტი რესურსის გაღებით?**

— რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილის საზოგადოებრივ ფლანგში ჩადგომა ქვეყანას ყოველმხრივ წარმატებას უქადის. უბრალოდ, ამას დრო უნდა! არჩევანის თავისუფლება უნდა! ხალხის წინაშე პასუხისმგებლობა მას აღებული აქვს, მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყანაში ორხელისუფლებიანობაა, რაც ხელს უშლის ახალი იდეების განხორციელებას. არჩევნების შემდეგ ეს პროცესი დასრულდება, რაც ხელ-ფეხს გაუხსნის ხელისუფლებას სამოქმედოდ.

ვიდრე საზოგადოების წყალგამყოფი არ ამოივსება, სულ ასე პრობლემებში ვიქნებით. ივანიშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მისიაც სწორედ საზოგადოების გაერთიანებაა.

**— ანუ ამისთვის საჭიროა, რომ ავირჩიოთ გიორგი მარგველაშვილი, შემდეგ პრემიერი გადავიდეს ხალხში და თავისი ფინანსური რესურსები მოახმაროს ქვეყანას?**

— ხალხში მდგომი ივანიშვილი გარანტი იქნება იმისა, რომ ნებისმიერი ხელისუფლება იქნება ხალხის მსახური!

**— გვერდს ვერ აუქცევენ ივანიშვილს?**

— ხალხს აუქცევენ გვერდს? ვინც აუქცია, რა მოიგო?! ხალხის ნებას ვერ წაუხვალ, რაც უნდა დიქტატურა შექმნა. ივანიშვილი მართლა მესია კი არ არის, მას, უნდა, დაგვანახვოს ძალა იმისა, თუ რა შეუძლია საზოგადოების ერთიანობას.

ესაუბრა
**თეა მოსია**

◉ ალიან-ჩალიანი

## მიშას ანაკლიური ვიზიტი გინებისა და ქების აკომპანიმენტით

**ხმაური იყო ანაკლიაში, სადაც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იმყოფებოდა. ანაკლიაში ორი აქცია გაიმართა, ერთი პრეზიდენტის მხარდამჭერი , ხოლო მეორე - „დაიცავი საქართველოს" ერთ-ერთი დამფუძნებლის კახა მიქაიას მიერ ორგანიზებული.**

**კახა მიქაია პრეზიდენტის ჩასვლას აპროტესტებდა ანაკლიაში და აცხადებდა, რომ სააკაშვილს არ აქვს მორალური უფლება, ჩავიდეს სამეგრელოში.**

**— ის არის მამაკაცების გამაუპატიურებელი და სწორედ აქ იყო ის სამალავები, სადაც მიმდინარეობდა ადმიანების გაუპატიურება, — აღნიშნა მიქაიამ.**

**რაც შეეხება მეორე აქციას, ანაკლიაში იმყოფებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები. ისინი აცხადებდნენ, რომ ანაკლია მას შემდეგ გახდა ისეთი, როგორიც არის დღეს, რაც მიხეილ სააკაშვილი გახდა პრეზიდენტი; მას აქვს უფლება, ჩამოვიდეს ანაკლიაში, თავის მიერ აშენებულ ტერიტორიაზე.**

**პრეზიდენტმა ჟურნალისტებთან ერთად დაათვალიერა ის ტერიტორია, სადაც პორტი უნდა აშენდეს და განაცხადა, რომ ამ ადგილას აუცილებლად აშენდება პორტი, ვინც არ უნდა იყოს ხელისუფლებაში.**

**ინტერპრესი**



# გაეროს ასამბლეა და მისი შედეგები

**გაეროს 68-ე ასამბლეა – მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავყრილობად დარჩება მსოფლიო ორგანიზაციის ისტორიაში და არა იმიტომ, რომ მან მოისმინა საქართველოს პრეზიდენტის სიტყვა, რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის, ბარნოვის, განცხადებით – „საუკეთესო იყო ორგანიზაციის ისტორიაში“, არამედ იმიტომ, რომ უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების კონსენსუსმა, რაც ბოლო წლებში დიდ იშვიათობას წარმოადგენს, გადაწყვიტა ისეთი საკითხი, როგორიცაა სირიის ქიმიური იარაღის განადგურება.**

კონსენსუსის მიღწევა გამოხატავს უშიშროების საბჭოს იმ სულისკვეთებას, რომელიც იალტის კონფერენციაზე შეთანხმდა დიდ სამეულს – აშშ-ს, საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის.

სტალინის, რუზველტისა და ჩერჩილის პოზიცია – უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთა შორის სავალდებულო კონსენსუსის აუცილებლობის თაობაზე, უზრუნველყოფს მსოფლიო მშვიდობას. უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთა ვეტოს უფლება აიძულებს მათ და უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრებს დიდი გულისყურით, მოთმინებით, თანამიმდევრულად მოეკიდონ განსახილველ ნებისმიერ საკითხს და მხოლოდ ყველა მუდმივი წევრის დასტურით მიიღონ რეზოლუცია.

სირიის ქიმიური იარაღის თემა უმნიშვნელოვანესია. მიღწეული კონსენსუსი საბოლოოდ წერტილს დაუსვამს ამ ქვეყანაში ქიმიური იარაღის არსებობას, გააფრთხილებს სხვა ქვეყნებს მსგავსი იარაღის ლიკვიდაციის აუცილებლობაზე, ხელს შეუწყობს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას.

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ რეზოლუციის მიღებაში უდიდესი წვლილი შეიტანა რუსეთის ხელისუფლებამ, და არა მარტო მიღებაში, არამედ ამ თემის ინიცირებაში. სწორედ რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა – სირიის ქიმიური იარაღის განადგურების საკითხის წამოწევით, გადაარჩინა აშშ, ახლო აღმოსავლეთი და მსოფლიო მოსალოდნელი კატასტროფისგან.

პუტინის დროულმა წინადადებამ ჩიხიდან გამოიყვანა აშშ-ის პრეზიდენტი ობამა, რომელიც წუთებს ითვლიდა სირიაზე საჰაერო იერიშის მისატანად. ობამასთან პუტინის ნახევარსაათიანმა საუბარმა, სანკტ-პეტერბურგში, „დიდი ოცეულის“ სამიტის ფარგლებში, კარდინალურად შეატრიალა ვითარება არა მარტო სირიასთან მიმართებაში, არამედ ირანთან მიმართებაშიც, გამოაფხიზლა ობამა აგრესიული განზრახვისგან, რომელიც მას თავს მოახვიეს აშშ-ის რეაქციულმა ძალებმა – სენატორ მაკკეინისა და სხვათა მეცადინეობით.

სენატორი მაკკეინი მხოლოდ ნაწილობრივ იზიარებდა ობამას გადაწყვეტილებას სირიის სამოცდღიანი საჰაერო დაბომბვების თაობაზე – მას სირიაში აშშ-ის ჯარის შეჭრაც უნდოდა.

მაკკეინს არც სხვები ჩამორჩნენ, მათ შორის რიჩარდ ჰაასი – საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს გავლენიანი თავმჯდომარე: „აშშ-მა, უპირველეს ყოვლისა, მძლავრი დარტყმა უნდა მიაყენოს ასადის რეჟიმს და შეტევა არ უნდა შეიზღუდოს დროის ჩარჩოებით. მან, შეტევის დროს უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა, მათ შორის ფრთოსანი რაკეტები, სხვა იარაღი. გარდა ამისა, სასწრაფოდ უნდა აღჭურვოს სირიის ოპოზიცია ახალი იარაღით, გაანეიტრალოს სირიის საზღვრები მეზობელ ქვეყნებთან და არ დაუშვას დამასკოს მიერ ომის ახლო აღმოსავლეთში გადატანა“.

ობამას ზიგზაგურმა პოლიტიკამ დააბნია ამერიკელები. ნახევარი საუკუნის წინათ ამერიკა მთლიანად იზიარებდა პრეზიდენტ კენედის გადაწყვეტილებას კარიბის ზღვის კრიზისთან მიმართებაში. ამერიკელებმა გაუგეს პრეზიდენტ კენედის კომპრომისს საბჭოეთთან, ვინაიდან კომპრომისმა, მსოფლიოს თავიდან ააშორა ბირთვული ომი.

ამერიკელებმა ჯორჯ ბუშსაც გაუგეს, რომელმაც ომი გამოუცხადა სადამ ჰუსეინს – მასობრივი განადგურების იარაღის ქონისთვის. მხარდაჭერა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმითაც იყო გამოწვეული.

მაგრამ ამერიკამ ვერაფრით გაუგო პრეზიდენტ ობამას, რომელმაც „დიდი ოცეულის“ სანკტ-პეტერბურგის სამიტის დროს უეცრად გადაწყვიტა პუტინის ნიშანზე, მასთან ერთად დარბაზის კუთხეში სალაპარაკოდ განმარტოებულიყო - სამიტში მონაწილე სახელმწიფო ლიდერების გაოცებული მზერის ქვეშ.

სწორედ ამ განმარტოების შედეგმა დააბნია ამერიკელები. რეაქციულად განწყობილი ობამა – სამშვიდობოდ შებრუნდა. ამ მოვლენასთან დაკავშირებით ამერიკული გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ წერდა: „სახელმწიფო ხომალდი ამერიკა, როგორც საცობი, ისე ტივტივებს ტალღებზე“.

რუსეთის წინადადებაზე ობამას თანხმობას სირიის ქიმიური იარაღის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, მოჰყვა ობამას ინიციატივა, ირანის ბირთვულ კვლევებთან მიმართებაში. და მოხდა ის, რასაც 35 წელიწადია არ ყოფილა ამერიკა-ირანის ურთიერთობაში.

35 წლის განმავლობაში, ამერიკის მოკავშირე შაჰის მოჰამედ რეზა ფეჰლევის დამხობისა და ირანელთა მიერ თეირანში აშშ-ის საელჩოს მრავალდღიანი ალყის შემდეგ, გაქრა კონტაქტები. ამ ხნის განმავლობაში აშშ-ს ძალა არ დაუშურებია ირანის ახალგაზრდა რევოლუციური ხელისუფლების მოსაგუდად.



ირანი ამერიკისთვის გახდა ნომერ პირველი მტერი, რომლის წინააღმდეგ ოფიციალურმა ვაშინგტონმა ყველა ხერხს მიმართა – ტერორიზმს, ეკონომიკურ სანქციებს, ომის ინიცირებას და ა.შ. აშშ-მა უბიძგა ერაყის მაშინდელ მმართველს სადამ ჰუსეინს, იმჟამად აშშ-ის უახლოეს მეგობარს, ირანის წინააღმდეგ ომის გასაჩაღებლად. 8 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ომი ირანსა და ერაყს შორის. ერთ მხარეს იყო ირანი, მეორეზე – აშშ-ისა და მისი ევროპელი თუ ახლო აღმოსავლელი მოკავშირეების მიერ მხარდაჭერილი ერაყი. ირანმა გაუძლო შეტევას და სოლიდურად გამოვიდა ომიდან.

> **პუტინის დროულმა წინადადებამ ჩიხიდან გამოიყვანა აშშ-ის პრეზიდენტი ობამა, რომელიც წუთებს ითვლიდა სირიაზე საჰაერო იერიშის მისატანად. ობამასთან პუტინის ნახევარსაათიანმა საუბარმა, სანკტ-პეტერბურგში, „დიდი ოცეულის“ სამიტის ფარგლებში, კარდინალურად შეატრიალა ვითარება.**

35 წელი დიდი დროა ახალგაზრდებში სალი აზრის ჩამოსაყალიბებლად. ირანის ახალმა თაობამ, რომელმაც ამერიკის მუქარის ქვეშ იცხოვრა, ნათელი წარმოდგენა შეიქმნა ამერიკის მიმართ. ერთ მუშტად შეკრულმა ირანის მოსახლეობამ, საკუთარ თავზე დაყრდნობით, არა მარტო ომს გაუძლო, არამედ აშშ-ის მეცადინეობით შემოღებულ ეკონომიკურ სანქციებსაც – განავითარა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მეცნიერება, ბირთვული კვლევები, მედიცინა, სამხედრო მშენებლობა. ისლამური ირანი გახდა რეგიონის თითით საჩვენებელი ქვეყანა.

მერამდენე წელია აშშ და მისი წაქეზებული მოკავშირეები დაბეჯითებით იბრძვიან ირანის ბირთვული კვლევების წინააღმდეგ. მათ არ მოსწონთ ირანის მეცნიერთა წარმატებები ურანის გამდიდრების დარგში. ამერიკელთა დაჟინებული მოთხოვნით, გაეროს უშიშროების საბჭომ 4-ჯერ დააწესა ირანის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები, მაგრამ ამის მიუხედავად, ირანმა არ დაიჩოქა.

**ირანის ხელისუფლება მუდამ აცხადებდა, რომ არ ამზადებს ბირთვულ ბომბს, რომ ურანის გამდიდრება მას მედიცინის და ენერგეტიკის გასავითარებლად ესაჭიროება. ირანის ლიდერმა აიათოლა ჰამენეიმ ფეტვაც გამოსცა მასობრივი განადგურების იარაღის დამზადების საწინააღმდეგოდ, თუმცა ირანს არავინ უჯერებდა.**

საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტოს ინსპექტორები მუდამ გამოთქვამდნენ ეჭვს ირანის ბირთვულ კვლევებთან დაკავშირებით. მათი მოსაზრებით, ირანი მალულად ამზადებდა ბირთვულ ბომბს. დაძაბულობის ცეცხლს, ნავთს ასხამდა ისრაელის სპეცსამსახურების ინფორმაციები ირანის მიერ ბომბის დამზადებასთან დაკავშირებით. სახელდებოდა ვადებიც და, აქედან გამომდინარე, ქვეყნდებოდა ირანის ბირთვულ ობიექტებზე ისრაელის საჰაერო იერიშის დროც.

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ირანის წინააღმდეგ ისრაელ-აშშ-ის სავარაუდო აგრესიის განხორციელებამ, არა მარტო ირანს, არამედ მეზობელი ქვეყნების მოსახლეობას ნერვები დააწყვიტა.

აშშ-მა და ისრაელმა აიძულეს ირანის ხელისუფლება მიეღო გამოწვევა მედიურ ომთან დაკავშირებით. დასავლეთის მიერ აგორებულ ანტიირანულ PR-ს, ირანმა თავისი შეაგება – ისრაელის პირისაგან მიწისა აღგვა, ჰოლოკოსტის უგულებელყოფა, სპარსეთის ყურის ჩაკეტვის მუქარა და ა.შ. დასავლეთის მსგავსმა კამპანიამ ირანი კიდევ უფრო დაარწმუნა ურანის გამდიდრების კურსის სისწორეში. განსაკუთრებული გავლენა იქონია ლიბიაში ომის გაჩაღებამ და ლიბიის მმართველის კადაფის ენით აუწერელი სისასტიკით დასჯამ.

ირანისთვის და არა მარტო მისთვის, არამედ სხვისთვისაც ცნობილი გახდა, რომ თავდაცვისთვის საჭიროა მძლავრი იარაღი და არმია. მსოფლიო პრესაში არაერთხელ დაიწერა, რომ ბირთვულიარაღიან კადაფის უბატონოდ სიტყვას არავინ გასცემდა.

და მიუხედავად ამისა, ირანი აცხადებდა, რომ ურანს 20%-მდე გაამდიდრებდა და არა 90%-მდე. 90%-მდე გამდიდრება ბირთვული ბომბის დამზადების შესაძლებლობას იძლევა. გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გამოსვლის დროს ირანის ახალმა პრეზიდენტმა ჰასან როუჰანიმ ხაზგასმით აღნიშნა: ირანი მზადაა მოლაპარაკებისა და ურანის გამდიდრების შეჩერებისთვის, თუკი აშშ, უშიშროების საბჭო გააუქმებენ მის მიმართ დაწესებულ სანქციებს. მან სხვა წინადადებებიც გააჟღერა, რასაც მოჰყვა ობამას რეაქცია და სახელმწიფო მდივნისადმი დავალება ირანელ კოლეგასთან დიალოგის დაწყებისთვის.

გენერალური ასამბლეის ფარგლებში გაიმართა ექვსეულის (გაეროს 5 მუდმივი წევრისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრების) შეხვედრა ირანელ კოლეგასთან. რომ იტყვიან, ყინული დაიძრა და ამ პროცესს ხელი მიახმარა ობამას სატელეფონო საუბარმა როუჰანისთან. მხარეები შეთანხმდნენ ექვსეულისა დ ირანის მომავალ შეხვედრაზე ოქტომბრის შუა რიცხვებში.

ობამას პრეზიდენტობის მეორე ვადის პირველი წელი ნაყოფიერი გამოდგა, ისე, როგორც პირველი ვადის დასაწყისი. საზოგადოებას ემახსოვრება ობამას სიტყვა ქაიროს უნივერსიტეტში. მისი დადებითი განცხადებები ახლო აღმოსავლეთისა და ირანის მიმართ. სამწუხაროდ, კარგი დასაწყისი, ცუდით შეიცვალა.

უნდა ვიმედოვნოთ, რომ ობამას ამჟამინდელ პოზიტიურ ინიციატივას, პოზიტიური შედეგი მოჰყვება, თუმცა ამერიკა-ისრაელის ეჭვები ჯერაც დიდია. ამერიკაში მყოფმა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ნეთანიაჰუმ ობამასთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ აშშ-მა ირანის მიმართ უნდა გააგრძელოს მკაცრი პოლიტიკა. სწორედ, მკაცრმა პოლიტიკამ, ეკონომიკურმა სანქციებმა და ომის დაწყების მუქარამ აიძულა ირანი დათმობებზე წასულიყო. ობამამ თავის მხრივ აღნიშნა, რომ ირანის მხრიდან კომპრომისული წინადადებები, წინადადებებად დარჩება, თუ სიტყვას საქმე არ მოჰყვება. ამ შემთხვევაში აშშ მზად იქნება ირანს გასცეს ჯეროვანი პასუხი.

სასიამოვნო ამბების ფონზე ჰქონდა ადგილი სააკაშვილის გაუწონასწორებელ გამოსვლას. რა არ იყო ჩაყრილი ამ სიტყვაში, რომლის მომზადებაში საქართველოს საგარეო უწყებასაც მიუღია მონაწილეობა. ცხადია, საქართველოში მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც აღტაცებით შეხვდნენ სააკაშვილის გამოსვლას.

**მათი უმრავლესობა ნაცია, თავშეუკავებელი და ისეთივე ცეტი, როგორც „ბელადი“. ერთ-ერთი მათგანი ბარნოვია, რომელსაც, თურმე, მისი „შეფის“ გამოსვლის მსგავსი არასდროს სმენია. საინტერესოა, გაეროს დაარსებიდან დღემდე სხვა რომელი ქვეყნის პრეზიდენტის გამოსვლა მოისმინა მან? უკანალში ძრომაც არის და ძრომაც, მაგრამ „უბრიოლინოდ“, პირველი შემთხვევაა.**

საერთოდ უნდა ითქვას, რომ სააკაშვილის ხელისუფლება არასდროს წყალობდა მსოფლიოს უპირველეს ორგანიზაციას და აქედან გამომდინარე ლანძღვა-გინებასაც არ იშურებდა მისი მისამართით. სააკაშვილის განწყობა მის მინისტრებზეც გადადიოდა, მათ შორის ტანად დიდსა და გონებით ვიწრო, თანაც მზაკვარ სახელმწიფო მინისტრ იაკობაშვილზე.

**იაკობაშვილ-კეზერაშვილით ყოყოჩობდა სააკაშვილი ისრაელში ყოფნის დროს – ჩემს მინისტრთა კაბინეტში ორი მინისტრი ებრაელიაო. მერედა რა მოუტანეს ამ ორმა, უბედურ საქართველოს? ცუდის მეტი, არც არაფერი. დღეს, ორივენი უცხოეთს აფარებს თავს.**

ეს, ის იაკობაშვილია, რომელიც საქართველოს სახელით დასცინოდა გაეროს და მის უშიშროების საბჭოს. საქართველოს გასაფრთხილებელი რეზოლუციის მიღების შემდეგ, ნაცვლად სერიოზული რეაგირებისა და რეზოლუციის მოთხოვნათა შესრულებისა – კოდორში ქართველი სამხედროების შეყვანის გამო, ის უკმეხად აცხადებდა – წერონ და იკითხონ, მათ რეზოლუციებს არავინ ასრულებსო.

**საქართველოს მსგავსი არშემდგარი ქვეყნის მინისტრს მეტი წინდახედულობა ესაჭიროებოდა და არა მარტო მინისტრს, ნებისმიერ მაღალ მოხელეს, პრეზიდენტის ჩათვლით. სააკაშვილის სიტყვებმა რუსეთის დელეგაცია დარბაზიდან გაიყვანა. ეს იყო მთავარი მიზანი?**

**ჩემის აზრით, მთავარი მიზანი სხვაა. ის სააკაშვილისეული რიტორიკით არ მიიღწევა, პირიქით, სააკაშვილმა თავისი სიტყვით ახალი ბარიერი ააგო საქართველო-რუსეთს შორის, რომლის დაძლევა არცთუ იოლი იქნება. ჩვენდა სამწუხაროდ, გუშინდელი და დღევანდელი მაღალი მოხელეების წყალობით, მეტადრე მეტიჩრობით ქართველი ხალხის წინაშე, ფუნდამენტური საკითხი – ტერიტორიული მთლიანობა, გვერდზე რჩება.**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

**კერძო აზრი**

# დროა, სიმართლე ვთქვათ...

**ᲘᲛ ᲤᲝᲜᲖᲔ, როდესაც ხელისუფლება საკუთარ მიღწევებზე საუბრობს და აცხადებს, რომ არჩევნებიდან მოკლე ხანში მათ ბევრი რამის გაკეთება შეძლეს, მოძრაობა „გადაარჩინე სიცოცხლის“ ხელმძღვანელი, 2006 წლის 2 მაისს თბილისში, კორტებთან გარდაცვლილი ზურაბ ვაზაგაშვილის მამა იური ვაზაგაშვილი ახალი ხელისუფლების მიერ დაპირებული სამართლიანობის აღდგენის ტემპებით**



**უკმაყოფილოა და აღნიშნავს, რომ ხალხმა ხელისუფლებას შეცდომების დაშვების უფლება არ უნდა მისცეს, თუმცა იქვე დასძენს, რომ ხელისუფლებამ უკვე უამრავი შეცდომა დაუშვა.**

**ახალი ხელისუფლების მიერ ამომრჩევლისთვის დაპირებული სამართლიანობის აღდგენის გაჭიანურებულ პროცესზე, ასევე ზურაბ ვაზაგაშვილის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებულ საკითხსა და პროკურატურაში არსებულ ვითარებაზე „მედიანიუსი“ ᲘᲣᲠᲘ ᲕᲐᲖᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲡ ესაუბრა.**

— ჩვენ წლების მანძილზე უსამართლობას ვებრძოდით და ძალიან გავაქტიურდით ბოლოს, როგორც კი ივანიშვილი გამოჩნდა. ჩვენი, ქართველი ხალხის ერთადერთი მოთხოვნა ყოველთვის სამართლიანობის აღდგენა იყო. ყველას გვესმის, რომ თუ არა სამართალი, ქვეყანა არ შედგება და არ ეშველება არც ერთ დარგს. ამიტომ შარშან, 29 სექტემბერს, ივანიშვილის აქციაზე იყო ერთგვარი ფიცის დადება და ვთქვით, რომ ბრძოლა გამარჯვებამდე იქნებოდა. მართლაც დიდი გამარჯვება მოვიპოვეთ და გავიმარჯვეთ პირველ ოქტომბერს. პირველი ოქტომბრის შემდეგ კი, იგივე მოთხოვნები დაიწყო. რამდენიმე თვეა, ჩვენთან მოდის ხალხი, მათ იგივე მოთხოვნები აქვთ. აქვთ პრეტენზიები და გუშინდელი აქციის ჩატარებაც ხალხის მოთხოვნა იყო.

**— საქართველოს თითქმის ერთი წელია, უკვე ახალი ხელისუფლება ჰყავს, თუმცა თქვენ დღესაც ქუჩაში გამოსვლა ძველის მოთხოვნებით გიწევთ. როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია ეს გარემოება?**

— საბოლოოდ ყველა დარწმუნდა, რომ თუ არა ხალხის აქტიურობა, არც ერთი ხელისუფალი არ არის ხალხის და ქვეყნის ხელისუფალი. გუშინ ჩვენ აქციაზე მოვიწვიეთ თბილისის ყველა მაჟორიტარი, ასევე პარლამენტის თავმჯდომარე. მხოლოდ სამი მოვიდა. იმიტომ მოვიწვიეთ, რომ ეგ ადამიანები ჩვენ გვერდით

**ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲕᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲕᲘᲡᲗᲐᲜ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲡ!**

იდგნენ და ამბობდნენ, რომ ყველა უნდა დასჯილიყო. ახლა ხმას აღარ იღებენ. ჩვენ ამ შემთხვევაში გამოვდივართ არა მათი გადადგომის მოთხოვნით, არამედ მეგობრულად — კარგად გვესმის, რომ ეს ხელისუფლება ჩვენ მოვიყვანეთ, მაგრამ არ უნდა დავაშვებინოთ შეცდომები. უკვე უამრავი შეცდომა დაუშვეს.

**— რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენის კუთხით არსებულ მდგომარეობას?**

— სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისით მუშაობა ერთობ მოიკოჭლებს. ელემენტარული ცვლილებები როგორ არ არის, იგივე ადამიანის უფლებების კუთხით, მაგრამ პროკურატურაში ისევ ის პროკურორები და გამომძიებლები, ისევ ის ზონდერები თავის ადგილზე რჩებიან. არც ერთი საჩივარი არ არის გამოძიებული და ბოლომდე მიყვანილი. არც ერთი საქმე გამოძიებული არ არის, არც ერთი მკვლელობა ბოლომდე მიყვანილი არ არის. ჩვენმა საკანონმდებლო ორგანომ 200 პოლიტპატიმარი აღიარა და ვინც ეს 200 პოლიტპატიმარი ციხეში გაუშვა, არც ერთი პასუხისგებაში არ არის მიცემული. ეს ხომ ბოლომდეა მისაყვანი?! ამიტომ გვაქვს ჩვენ კითხვები ხელისუფლებასთან. აქციაზე მოვიდა მხოლოდ სამი დეპუტატი. არც ერთი პარტიის წარმომადგენელი არ მოვიდა. ხედავთ რა ხდება? კოალიციაში შემავალი პარტიებიდან ვინც იყო მოწვეული, არც ერთი არ მოვიდა. ვახტანგ ხმალაძე ორმხრივად იყო მოწვეული, როგორც თბილისის მაჟორიტარი და როგორც იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე, თუმცა, არ მოსულა.

**— რას უკავშირებთ ამ ადამიანების აქციაზე არ მოსვლას? არჩევნებამდე ხომ ყველა თქვენს გვერდით იდგა და ყველა თქვენს მოთხოვნას იზიარებდა?**

— ამას ვუკავშირებ იმას, რომ კოალიციაში ჩვენი მეშვეობით ივანიშვილმა მკვდარი პარტიები გააცოცხლა. მათ ისევ ძველებურად არ აინტერესებთ ამომრჩევლის აზრი. მხოლოდ არჩევნების დროს ვჭირდებით ჩვენ და მერე წყდება კავშირი ხელისუფლებასა და ამომრჩეველს შორის. ეს ქვეყანა თავის მთავრობიანად ხალხისაა. მაგრამ ასე არც ერთი მთავრობა არ თვლიდა და არც ახლა თვლის. ეს რაღაცნაირად უნდა გამოსწორდეს. ჩვენ კიდევ ერთხელ ვახსენებთ ხელისუფლებას, რომ ისინი დანაპირების შესრულებას ვერ გაექცევიან. ხალხი მათ ამაზე პასუხს აუცილებლად მოსთხოვს. მართლაც სერიოზული გამარჯვება მოვიპოვეთ და ჩვენ, ხალხმა ამის დაკარგვის საშუალება არავის უნდა მივცეთ. დაველოდებით არჩევნების ჩატარებას. ხალხი სამართლიანობის აღდგენას ითხოვს.

**— ხომ არ აპირებთ მომავალში მსგავი სახის აქციების გაგრძელებას?**

— საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, როცა გამარჯვებული გამოვლინდება, აქციები გამორიცხულია, თუმცა ბრძოლას განვაახლებთ. გავდივართ რეგიონებშიც, სხვა გამოსავალი არ არის. ნებისმიერ ხელისუფალს მოვთხოვთ პასუხს. ბრძოლის ახალი ტალღა დაიწყო, ეს იქნება სახალხო მოძრაობა. თუ ხელისუფლება არ მოგვისმენს, მერე შეიძლება აქციები გავაგრძელოთ.

**— რაც შეეხება თქვენი შვილის, ზურაბ ვაზაგაშვილის საქმეს. არის თუ არა რაიმე სიახლე გამოძიების მიმდინარეობასთან დაკავშირებით? თქვენ ახალ მოწმეებზე საუბრობდით. მოხდა თუ არა მათი დაკითხვა?**

— ჩემი შვილის საქმეზე არავინ არ არის დაკითხული, არაფერი არ არის გაკეთებული. თუ საერთო სამართლიანობა არ აღდგა, ერთი და ორი საქმით არაფერი გამოვა. პროკურატურის მუშაობა არის ნული. უამრავი ფაქტი მაქვს. წარვუდგინე სამი შუამდგომლობა. მათ არ ვენდობი. ჩვენთან არ თანამშრომლობენ, გვიმალავენ. ჯერ დაზარალებულად ცნობილებიც არ ვართ. ახალი ხელისუფლების პირობებში ერთი წლის მანძილზე ძველი პროკურატურის დადგენილება, რომლითაც დაზარალებულად ცნობის დადგენილება გამიუქმეს, ის დადგენილებაც კი არ აქვთ გაუქმებული. პროკურატურა სავსეა ძველი კადრებით. ესენი იყვნენ ყურმოჭრილი მონები და მკვლელების თანამზრახველები. იმ შავ საქმეებს ესენი ათეთრებდნენ. მე ეს კბილაშვილს და ნაცვლიშვილს ვუთხარი. ხელს არ შეგვიშლიანო. აი, თუ არ შეუშალათ ხელი. როგორ შეიძლება შაქრო ზაალიშვილი ყოფილიყო ბაჩო ახალაიას პროცესის პროკურორი?! ბრალდებას უყენებენ, მაგრამ არ ამაგრებენ. მოსამართლესთან მიდის დაუსაბუთებელი ბრალდება. მოსამართლე კანონიერად უხსნის ამ ბრალდებას. ეს სჭირდებათ იმისათვის, რომ ხალხს უთხრან: ნაციონალური მოძრაობა მართლა ისეთი კი არ არის, როგორც ლაპარაკობდითო. ასევე ქვეყნის გარეთ აქვთ სალაპარაკო, თითქოს ახალი ხელისუფლება დევნის ძველს, პოლიტიკურად. ამას ხელს უწყობენ ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც არ ათავისუფლებენ იმ ძველ ზონდერებს. 10 ათასამდე განაცხადი შევიდა პროკურატურაში, როცა ახალ კადრებზე კონკურსი გამოცხადდა. მხოლოდ 25 პროკურორი ჰყავთ მიღებული, ისინიც კონკურსის წესით მიიღეს თუ თავიანთი ახლობლები — საკითხავია. ჩვენ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ყველაფერს ვიტყვით, რომელი მოადგილე ვინ არის და ვისთან თანამშრომლობს. დროა, სიმართლე ვთქვათ.

**სიმართლე კი ასეთია**

# პროექტების ნაწილი ახალმა ხელისუფლებამ კი არ შეაჩერა, არამედ — შეჭმულმა თანხებმა

**ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ თითქმის ყოველდღე ახალ პროექტს წარმოგვიდგენს. საუბრობს მისი განხორციელების აუცილებლობის თაობაზე, იმაზე თუ რა აზრი იყო ჩადებული მისი შესრულებისა და ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ. მაგრამ იმას, რატომღაც ივიწყებს, რომ ბევრი პროექტი დასაწყისშივე მკვდრადშობილი იყო, ბევრზე თანხები გამოიყო, ფული დაიხარჯა, პროექტი კი შეუსრულებელი დარჩა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ პროექტთა უმეტესობას ადგილობრივი ბიუჯეტები ავსებდნენ. შექმნილი ქალაქების განვითარების რეაბილიტაციისა და ა. შ. ფონდები ჯერ ერთი, რომ ბიუჯეტიდან იღებდნენ თანხებს, ასევე ყველა დონის მეწარმეებს აიძულებდნენ გარკვეული შესაწირი ეხადათ ფონდებისათვის.**

სინამდვილეში კი ეს მანკიერი ორგანოები წარმოადგენდნენ ნაცების ყულაბას, ხარჯვითი ნაწილი გაუმჭვირვალე იყო. თანხები არამიზნობრივად იხარჯებოდა. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ თბილისის განვითარების ფონდი, სადაც მისმა თავმჯდომარემ გიორგი საბანაძემ, თბილისის ვიცე-მერმა დავით ალავიძემ და მერიის შესყიდვების სამსახურის უფროსმა ალექსანდრე თაბუაშვილმა უკანონოდ მიითვისეს 14 მლნ ლარი.ფონდი, რომელიც დედაქალაქის განვითარებისათვის იყო მოწოდებული, უკანონოდ აფინანსებდა „ნაციონალების“ წინასაარჩევნო კამპანიას, პარტიის აქტივებს, რაშიც 34 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა.

როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ფონდების სახელითა და თანხებით მანიპულირება არც ქვეყნის სხვა მსხვილი ქალაქებისთვის იყო უცხო.

ცოტა ხნის წინათ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ შეამოწმა ბათუმში 2009-13 წ.წ. განხორციელებული ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის შესრულება. არასამთავრობომ საბოლოო ანგარიში დადო **„რეაბილიტაციის პროცესი ფასადს მიღმა — ბათუმის რეაბილიტაცია“** და მისი პრეზენტაცია მოაწყო.

პირველი, რაც პრეზენტაციაზე გახდა თვალშისაცემი ისაა, რომ მარტო „პიაცას მოედნის“ პროექტის, „ანბანის კოშკის“ მშენებლობისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის მიზნით, გამოიყო 80 მლნ ლარი ბათუმის ბიუჯეტიდან. აღსანიშნავია, რომ აქ, ისევე როგორც სხვა პროექტებზე გამოიყენებოდა სახელმწიფო შესყიდვების ფირმები, რომლებიც ნაკლებად კონკრეტული და გამჭვირვალეა. მთელი ამ თანხით მოხდა სახელმწიფო შესყიდვები გამარტივებული გზით, მოლაპარაკებები მხოლოდ ერთ პირთან მიმდინარეობდა.

საიას დასკვნაში წერია, რომ **შემოწმებული წლების პერიოდში ბიუჯეტიდან პროექტების შესყიდვაზე რამდენიმე მილიონი ლარი დაიხარჯა, პროექტები კი არ შესრულებულა.** პრეზენტაციაზე წარმოადგინეს მათი ჩამონათვალი — ბათუმის ძველ ბულვარში ოპერის თეატრის მშენებლობა. ბათუმის პორტი, ანუ „თეთრი კოშკი“, „პიაცას გადახურვის“ პროექტი და ბევრი სხვა.

**საერთოდ რეაბილიტაციის პროგრამაში ცვლილებები გაუაზრებლად, სპონტანურად ხდებოდა. აცხადებენ „ახალგაზრდა იურისტების ასოციაციაში“. ხორციელდებოდა ახალი პროექტები, დაწყებულები შუა გზაში ჩერდებოდა, ახლებზე თანხები გაიცემოდა, მაგრამ დაწყებას არავინ აპირებდა (გასაგებია თუ სად მიდიოდა ფული). ამის ფონზე კი ბათუმში არაერთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი განადგურდა, სახე იცვალა** — ვკითხულობთ ა/ო-ის დასკვნაში.

საიას აღმასრულებელი დირექტორის **ეკა ფოფხაძის** განმარტებით, **ერთობლიობაში იმდენი დარღვევაა აღმოჩენილი ბათუმის რეაბილიტაციის პროცესში, რომ თავისდაუნებურად ჩნდება ეჭვი ამ საქმიანობის კანონიერებისა.**

ახალგაზრდა იურისტთა ორგანიზაციაში აუცილებლად მიაჩნიათ ბათუმის რეაბილიტაციის პროგრამის დაწვრილებით შესწავლა და აუდიტორიული შემოწმება: **საია შესაბამის სამართალდამცავ და მაკონტროლებელ სტრუქტურებს მოუწოდებს, დაინტერესდნენ მათ მიერ ანგარიშში წარმოდგენილი ფაქტებით და გამოძიება დაიწყონ.**



როგორც ირკვევა, წინა ხელისუფლება ტყუილად აცხადებს — ახალმა ხელისუფლებამ შეაჩერა პროექტებიო. გამოდის, რომ ბათუმში (და არა მხოლოდ აქ), პროექტებს სხვა დანიშნულება, მაღალჩინოსნებს კი სხვა მიზნები ჰქონდათ.

**ზაზა ბილიხოძე**

საინვესტიციო გარემო



# ჟამი შოკიდან გამოსვლისა

**ეკონომიკური ზრდის ვარდნაზე დავა და ლაპარაკი, რასაც აგერ თითქმის ერთი წელია გაუთავებლად „ატრიალებს“ საპარლამენტო ოპოზიცია, საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად გაძლიერდა, ბოლო არ უჩანს. ეკონომიკური აღმავლობა ბოლო დროს მართლაც შენელებულია, თუმცა, ხელისუფლების ოპონენტებს ამ ბრალდების წაყენებისას ელემენტარულად „ავიწყდებათ“, რომ ეს პროცესი არა შარშანდელი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, არამედ რამდენიმე თვით ადრე დაიწყო. კონიუნქტურიდან გამომდინარე, მათ იმის თქმაც არ აწყობთ, რომ შენელების პროცესის გაღრმავებას ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები უმეტესწილად, ხელისუფლების ცვლას უკავშირებენ.**

უფრო კონკრეტულად თუ ვილაპარაკებთ, მთლიანი შიდა პროდუქტის მატების ტემპის შენელების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ეროვნული ეკონომიკის ფაქტობრივად ყველა სექტორში ჯერ უცხოური ინვესტიციების ნაკადის დაახლოებით 35-პროცენტიანი კლება და ინვესტორთა, ასე ვთქვათ, მოლოდინის რეჟიმში გადასვლაა. იგივე უნდა ითქვას ადგილობრივ ინვესტორებზეც, რომელთათვისაც, მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებში ხელისუფლებასთან ურთიერთობები წესების ყველანაირი ცალმხრივი დარღვევით მიმდინარეობდა, „თამაშის ახალი წესები“ თავდაპირველად უცნობი იყო. ამ გარემოებას უფრო ამძაფრებდა და ახლაც ამძაფრებს ის მეტად მნიშვნელოვანი მომენტი, რომ სამართალდამცავ სტრუქტურებში (პროკურატურაში, საგადასახადო სამსახურში, სასამართლოში) უამრავმა ისეთმა პირმა შეინარჩუნა „სამეთაურო სიმაღლე“, ვისაც იმავე ინვესტორების, მეწარმეების მიმართ სამართლიანი თამაშის წესების დაცვაზე არც არასდროს უფიქრია.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ექსპერტების აზრით, ამ ეტაპზე **მთავრობის უპირველესი ამოცანაა, არ დაუშვას ეკონომიკური ზრდის ტემპის შემდგომი შენელება, რისი საშიშროება ნამდვილად არსებობს. საამისოდ მეტად მნიშვნელოვანია როგორც უცხოელ, ასევე ადგილობრივ ინვესტორთა ნდობის აღდგენა** (და ამ მიმართულებით ბოლო დროს საკმაოდ პოზიტიური ნაბიჯები გადაიდგა), **მეწარმეობის დეპოლიტიზაცია და ეკონომიკური ფისკალური სტიმულირების გაძლიერება.** ამ თვალსაზრისით, ეჭვი არ არის, უდიდესი მნიშვნელობა ექნება თვის მიწურულს გასამართ საპრეზიდენტო არჩევნებს, რის შემდეგაც ქვეყნის მართვის აქცენტები, კერძოდ, პრეზიდენტის გავლენა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე საგრძნობლად შემცირდება და ბოლო ერთი წლის მანძილზე ქვეყანაში გამეფებულ ერთგვარ ორხელისუფლებიანობას ბოლო მოეღება. ამ მანკიერი მდგომარეობის დასასრულს ქვეყნის არამარტო შიდა და გარეპოლიტიკური მდგომარეობისა და იმიჯისთვის ექნება უდიდესი მნიშვნელობა, არამედ საინვესტიციო გარემოსაც დაემჩნევა სასიკეთოდ. საქმე ისაა, რომ თუმცა, ქართული ოცნების ძალაუფლებაში მოსვლის შემდეგ ბიზნესის დატერორება, სახელმწიფო შესყიდვებში სრული განუკითხაობა, როცა ათასგვარ ტენდერებში უმეტესწილად (თუ არა მთლიანად!) ელიტურ კორუფციულ ანდა კარტელურ გარიგებებში მონაწილე კომპანიები იმარჯვებდნენ, მათი ფისკალური „ხელუხებლობა“ და ა.შ. ფაქტობრივად, მოისპო, ერთგვარი გაურკვევლობის სინდრომი მათაც აწუხებთ, რადგან დარწმუნებულნი არ არიან, რომ თამაშის წესები საბოლოოდ და მათდა სასიკეთოდ შეიცვალა. ეს, არსებითად, ყველა მეტ-ნაკლებად დიდ კომპანიას ეხება, ამდენად მავანთა საფარველქვეშ ყოფნას მიჩვეულებს, ცოტა არ იყოს, ორიენტაციაც დაებნათ, რამაც, ბუნებრივია, ეკონომიკური საქმიანობის წარმართვის აქტივობა დააქვეითა. ეს შენელება კი საკმაოდ თვალშისაცემია, თუკი მას წინა წლის, ვთქვათ, პირველი ნახევრის წლევანდელ ანალოგიურ მაჩვენებელს შევადარებთ, როცა **დიდი კომპანიების ეკონომიკური ზრდის ტემპი დაახლოებით ათჯერ დაეცა. იგი ასევე შემცირდა უფრო მცირე კომპანიებშიც, მაგრამ გაცილებით უფრო ნაკლებად.**

ცალკე აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში ინვესტიციების დაბანდების პოტენციურ მსურველებს გარკვეულწილად ნაცმოძრაობის ლობისტთა პროპაგანდაც აბნევს, რასაც მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთელი ვოიაჟების დროს გაკეთებული საჯარო განცხადებებიც ასაზრდოებს. არც ის უნდა გამოგვრჩეს თვალთახედვიდან, რომ მიუხედავად მნიშვნელოვანი კანონშემოქმედებითი საქმიანობისა, პარლამენტმა, რომელმაც არასრული ერთი წლის მანძილზე ორასზე მეტი კანონი და კანონში მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ ექსპერტების მიერ არაერთხელ განხილული კანონის მიღებას თავი ვერა და ვერ მოაბა.

ეკონომიკის განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედა წლების განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის მანკიერმა პრაქტიკამაც, როცა პრიორიტეტი ამბიციური ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას ჰქონდა. ეს ტენდენცია მხოლოდ შარშანდელი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ანუ 2012 წლის მეოთხე და 2013 წლის პირველ ნახევარში შენელდა. ყოველივე ქართული ოცნების კოალიციის მთავრობის მიერ მახინჯი სატენდერო პროცედურების გადასინჯვის შედეგია, რაც წლების მანძილზე მათი ჩატარების იმპერატიულმა მეთოდმა განაპირობა. ამან კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეამცირა სახელმწიფო ხარჯი საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე.

ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს მკვეთრ გაუმჯობესებას, როგორც ჩანს, რამდენიმე საინვესტიციო ფონდის, მათ შორის, უწინარესად, საპარტნიორო ფონდის ბაზაზე წარმოქმნილი სუვერენული, სოფლის მეურნეობის განვითარების, ასევე თანადაფინანსების ფონდების სრული მასშტაბით ამოქმედების შემდეგ უნდა ველოდოთ. ამ ფონდების სამომავლო მოღვაწეობის თაობაზე არსებული ინფორმაცია სიუხვით მაინცდამაინც არ გამოირჩევა, თუმცა კი რამდენიმე საპილოტე პროექტი, მათ შორის, მეღორეობის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი კომპლექსი ს.კოდაში, გორში ქარისა და საგარეჯოში მზის ენერგიაზე მომუშავე ელექტროსადგურების მშენებლობები, ამჟამად განხორციელების პროცესშია. ცნობილია, რომ სუვერენულ ფონდში თავს მოიყრის სახელმწიფო აქტივები, მისი სახსრებით მხარი აებმება ინოვაციური პროექტების განხორციელებას, აგრეთვე სხვა ფონდების მართვას. სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის ეგიდით უკვე განხორციელდა მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი, შემდეგ ჯერი შეღავათიან აგროკრედიტის პროექტზე მიდგა. თუმცა კი, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ მხრივ ყველაზე მძლავრი ქვეყანაში მაინც თანადაფინანსების კერძო ფონდი იქნება, რომელშიც, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, დაახლოებით ათი მილიარდი დოლარი მოიყრის თავს. თუ ეს ასე მოხდება, რაც, მოსახლეობაში პრემიერისადმი ნდობის უდიდესი კრედიტის გათვალისწინებით, სავსებით რეალურია, თანადაფინანსების ფონდი საქართველოში ინვესტირების უმძლავრეს წყაროდ იქცევა.

ამასთან, ეკონომისტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპის დასაჩქარებლად აუცილებლად საჭიროა ფისკალური სტიმულირება, რაც ასევე უცხოელი ინვესტორებისთვისაც დადებითი გზავნილი იქნება. ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია დიდი ბიზნესის ერთგვარი შოკური, ნაკლებად აქტიური მდგომარეობიდან გამოყვანა, რომელშიც ისინი პოლიტიკური ცვლილებების შემდგომ ნაწილობრივ დღესდღეობითაც იმყოფებიან. დიდი კომპანიები სოლიდური ადამიანური და ტექნოლოგიური პოტენციალით გამოირჩევიან, ამიტომაც რაც უფრო მალე ამოქმედდებიან ისინი სრული ძალით, რაც უფრო მეტი მხარდაჭერა ექნება ახალ, ინოვაციურ პროექტებს, მით უფრო დაჩქარდება ეკონომიკური ზრდის ტემპიც.

**ოთარ ტურაბელიძე**

ყოფა

# თურქული კულტურული ექსპანსია დაიწყო

**1988 წლის 16 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის ტელევიზიამ ქვეყნის მოსახლეობას ერთგვარი სიურპრიზი მოუწყო და ბრაზილიური სერიალის „მონა იზაურას“ ჩვენება დაიწყო. სიმპათიური დიაცის სევდიანმა თავგადასავალმა გულგრილი არავინ დატოვა. ქვეყანა „იზაურამანიამ“ მოიცვა და ამ „საპატიო საქმეში“ საქართველო გამონაკლისი არ ყოფილა.**

**„ექსპერიმენტმა“ გაამართლა და რამდენიმე წელიწადში „უბრალოდ მარია“ ვიხილეთ. იმავე დროს რუსეთის მეორე არხზე ორიათას სერიიანი „სანტა ბარბარას“ დემონსტრირებაც დაიწყო. ალბათ, გახსოვთ ის პერიოდი. საქართველოში ცხოვრება ჭირდა, არ გვქონდა შუქი, გაზი, დღის მნიშვნელოვან ნაწილს პურის რიგებში ვატარებდით. მექსიკელი მკერავი მარიასა და ამერიკელი მილიონერების ცხოვრების დეტალები ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ის სულიერი შვება აღმოჩნდა, რომელმაც იმ მძიმე წლების გადატანაში ხელი შეუწყო.**

**მოგვიანებით რუსული არხები გაგვითიშეს, მაგრამ სერიალების ვაკუუმის შევსება უკვე ქართულმა ტელეკომპანიებმა დაიწყეს. იმედია გაიხსენებთ ტელევიზია „თამარიონს“ და ვენესუელურ „ნამუშევარს“ „რევანში“.**

**დროთა განმავლობაში სერიალები სოკოებივით მომრავლდა და ქართული სატელევიზიო სივრცის მუდმივ ბინადრად გადაიქცა. ამ „პროდუქციას“ საქართველოში თაყვანისმცემლები არასოდეს აკლდა. საინტერესოა, რომ სერიალებს ქალებთან ერთად ქართველი მამაკაცებიც ეტრფიან. ვერც გაამტყუნებ, ტოტალური უმუშევრობის ხანაში, სახლში ჩამჯდარი „ძლიერთა სქესის“ წარმომადგენლები მთელ დროს ხომ საყვარელ ტელევიზორებთან ატარებენ.**

**რამდენიმე წლის წინათ „საპნის ოპერების“ ისტერიამ საქართველოს ერთხელ უკვე გადაუარა. ალბათ, მიხვდით, საუბარი მარიო ჩიმაროზე მაქვს. კუბაზე დაბადებულმა ვარსკვლავთბიჭუნამ ჩვენი მანდილოსნების გული მცირე დროში მოიგო და ცოტა დააკლდა „საქართველოს სახალხო არტისტის“ წოდება რომ დაემსახურებინა.**

**მექსიკური, ვენესუელური, კოლუმბიური და ბრაზილიური სერიალების მოჭარბების ხანაში ვერ წარმოვიდგენდი თანამემამულე ტელეაუდიტორიის გაკვირვებას ვინმე კიდევ თუ მოახერხებდა. სამწუხაროდ, შევცდი და ამაში დამნაშავე თურქული ფილმები აღმოჩნდა.**




**ერთგვარი შესავლისა და ისტორიული რაკურსის შემდეგ, ალბათ, დროა საქმეზე გადავიდეთ.**

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ერთ-ერთი ქართული საკაბელო არხით თურქული სერიალის „ეზელის“ ჩვენება დაიწყო. იმავე პერიოდში ტელეკომპანია „მაესტრომ“ ამავე ქვეყნის ტელეინდუსტრიის ერთ-ერთი „შედევრით“ გაგვანებივრა. მონასტერი ამის შემდეგ აირია.

სრულიად საქართველოს უდიდესი ნაწილი ახალი სანახაობით „დაავადდა“. სერიალების სტაჟიანმა თაყვანისმცემლებმა სამხრეთ ამერიკულ პროდუქციას ზურგი აქციეს და ყურადღება თურქულ „საპნის ოპერებს“ მიაპყრეს. საყოველთაო „თურქოლოგიის“ გაძლიერებაში საკუთარი წვლილი ჩვენმა ტელევიზიებმაც შეიტანეს. აიღეთ გადაცემების ბადე და ნახავთ, რომ ყოველდღიურად, შუადღის ოთხი საათიდან, საღამოს ათ საათამდე ზედიზედ ხუთი სურათის ნახვა შეგიძლიათ.

რამდენიმე დღის წინათ ერთ პარლამენტარს ვესაუბრე, მან სინანულით აღნიშნა, რომ საქართველოს მოსახლეობას დღეს მხოლოდ თურქული სერიალები და პოლიტიკა აინტერესებს. მაინც რაში მდგომარეობს ამ ტელესერიალების ეგზომ დიდი პოპულარობა?

თუ დააკვირდით, ქართული ტელეკომპანიები რუსული სერიალების დემონსტრირებას ერიდებიან, რადგან მოსახლეობის გარკვეული ნაწილის გაღიზიანება არ სურთ. ამ დროს საუკუნეების განმავლობაში თურქეთი ჩვენი ისტორიული მოწინააღმდეგე გახლდათ.

იხ. 9 გვ.

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# აქვს თუ არა შანსი სამხრეთ კავკასიას?




**აქვს თუ არა შანსი სამხრეთ კავკასიას? ვგულისხმობ, შანსს რეალური, და არა ყალბი დამოუკიდებლობისა და ღია საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის?**

ეს ბუნებრივი შეკითხვაა, როდესაც აზერბაიჯანსა (16 ოქტომბერი) და საქართველოში (27 ოქტომბერი) პრეზიდენტების არჩევნები ახლოვდება. სომხეთის ვითარება ოპტიმიზმის საფუძველს ნაღებად გვაძლევს. ერევანმა პრეზიდენტის არჩევნები თებერვალში გამართა, და იმის დემონსტრირება მოახდინა, თუ როგორ მუშაობს ელექტორალური ავტორიტარიზმი, რომლის საკვანძო აქსიომაა „განუსაზღვრელი თამაშის წესები და წინასწარ განსაზღვრული შედეგი“. არჩევნებში მოქმედმა პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა გაიმარჯვა, რაშიც ეჭვი, როგორც ჩანს, არავის ეპარებოდა. პრეზიდენტობის რამდენიმე კანდიდატი რბოლას ჩამოშორდა, ერთი დამარცხდა, და 60%-იანმა გამარჯვებულმა საბჭოთა დრო მოგვაგონა. სომხეთი ასევე ლაკმუსის ქაღალდია, ერთგვარი ტესტი, რომელიც წარმოაჩენს მანევრების თავისუფლების იმ ხარისხს, რომელიც სამხრეთ კავკასიას აქვს. ერევანი უმალ დაისაჯა მისი ფლირტისათვის ევროკავშირთან: მოსკოვმა თავისი უკმაყოფილება იმით გამოხატა, რომ აზერბაიჯანი 44 მილიარდის ღირებულების სამხედრო ტექნიკით მოამარაგა.

შეცვლის თუ არა მოდელს ოქტომბრის პრეზიდენტის არჩევნები აზერბაიჯანსა და საქართველოში? პრეზიდენტის არჩევნებს ამ ორი ქვეყნისთვის სხვადასხვა დატვირთვა აქვს. ალიევის მმართველობა უწყვეტია და ის სულთანიზმში გადადის. ალბათ, არც ღირს აზერბაიჯანის არჩევნების შესაძლო შედეგების განხილვა, რადგან ის წინასწარ ცნობილია. როგორც ჩანს, მხოლოდ იმაზე შეიძლება მსჯელობა, თუ რამდენად უფრო რეპრესიული იქნება იგივე სულთანის მმართველობა მისი ახალი ვადის პერიოდში.

საქართველოში ერთი ეპოქის დასასრული და მეორეს დასაწყისი ჩანს. სააკაშვილის „ზევიდან“ მოდერნიზაციის ეპოქა და ღიად პროდასავლური ვექტორი დასრულდა. ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემა მისი ყველაზე დიდი მემკვიდრეობაა. მაგრამ არ არსებობს იმის გარანტია, რომ ეს მემკვიდრეობა ახალ ტრადიციად იქცევა საქართველოში. დღეს არსებული ძალთა ბალანსი, და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მოქმედი მმართველი გუნდის მიერ ინიციირებული ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში (რაც მნიშვნელოვან პოლიტიკურ რესურსებს აქცევს პრემიერ-მინისტრის და მთავრობის ხელში) ახალ სახელისუფლებო მონოპოლიას ქმნის. ყველა შემთხვევაში, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ პრეზიდენტი გახდება მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი გიორგი მარგველაშვილი, რომელიც დიდწილად დეკორაციად იქცა. ნამდვილი ძალაუფლება ბიძინა ივანიშვილს დარჩება. შეასრულებს ის სრულად თავის დანაპირებს და დატოვებს პოლიტიკას მას შემდეგ რაც სააკაშვილი გადადგება? ამაზე თავს არ დავდებდი. ყველა შემთხვევაში, საეჭვოა ქართული პოლიტიკა ღია საზოგადოების პარადიგმისკენ მიემართებოდეს.

წარმატებული იქნება თუ არა თბილისის და ბაქოს საგარეო პოლიტიკური პროექტი — კარგი ურთიერთიერთობები ერთდროულად დასავლეთთან და რუსეთთანაც? უახლესი ისტორია ცხადყოფს, რომ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ლიდერები საკმაოდ წარმატებულად აჭენებდნენ ერთდროულად ორ ცხენს სხვადასხვა მიმართულებით. ვგულისხმობ უკრაინის ყოფილ ლიდერ კუჩმას, საქართველოს შევარდნაძეს და მამა ალიევს. თუმცა, დუალიზმისა და გაურკვეველი ლოიალობის ეპოქა წარსულს ჩაბარდა. უწინარეს ყოვლისა, იმის გამო, რომ პარალიზებული ევროკავშირი ვერ გადასცემს ენერგიას მის აღმოსავლელ პარტნიორებს, ხოლო ობამას ამერიკა ვერ უძლვება დასავლეთს. მეორე მიზეზი კი ის არის, რომ პუტინის კრემლს ახალი საგარეო-პოლიტიკური სტრატეგია აქვს — „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია“ და ღიად განაცხადა თავისი მიზნის შესახებ, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცეში ახალი გალაქტიკის შექმნას ითვალისწინებს, სადაც ცენტრში იქნება რუსეთი, ხოლო დანარჩენები ირგვლივ, სატელიტების სახით. ძალიან სამწუხაროა, რომ სამხრეთი კავკასია კვლავ გეოგრაფიის მძევალია. ამის განჭვრეტა შესაძლებელი იყო იმ დროში, როდესაც ფასეულობებზე აგებული ცივილიზაცია ვიწროვდებოდა.

**ლილია შევცოვა,**
„Carnegie.ru“

# ივანიშვილმა უარყო სააკაშვილის წინადადება დახმარების თაობაზე

**საქართველოს მთავრობამ უარყო ქვეყნის პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის წინადადება ერთობლივ მოქმედებათა დამუშავების შესახებ ცხინვალის რეგიონში „მცოცავი ოკუპაციის“ თავიდან აცილების მიზნით. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ „არ სჭირდება“ სააკაშვილის დახმარება, რომელმაც, პრემიერის სიტყვებით, თავის დროზე თავად გაართულა სიტუაცია საქართველოდან გამოყოფილ ტერიტორიებზე.**

**„სააკაშვილს მიაჩნია, რომ ეს (ტერიტორიების ანექსია) ხდება ჩვენს გამო, და სურს, დამარწმუნოს, თითქოს ის, რაც ხდება ეგრეთ წოდებულ საზღვარზე, არის უფრო მსუბუქი რიტორიკის ან მოქმედებების (რუსეთის ფედერაციასთან დაკავშირებით) შედეგი“,** — თქვა ივანიშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში 30 სექტემბერს. **„მაგრამ ეს, — განაგრძო კაბინეტის ხელმძღვანელმა, — არის სწორედ წინა მთავრობის გაუნათლებლობისა და სისულელეების შედეგი... სააკაშვილი არ გამოდგება, როგორც კარგი მასწავლებელი. იგი დამნაშავეა ბევრ რამეში, რაც ჩვენ მივიღეთ“.**

ამავე დროს ივანიშვილმა განაცხადა, რომ მთავრობა იქნება **„პრინციპული და თანმიმდევრული“ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხში და „აუცილებლად გამოასწორებს სააკაშვილის მთავრობის მიერ გაფუჭებულ საქმეს“.** თუმცა, ხაზგასმით აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა, ამას დრო სჭირდება.

## „რუსეთი თავის საქმეს აგრძელებს“

**ადრე საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „მზად არის, დაჯდეს საქართველოს მთავრობასთან ერთად და გამოიყენოს ყველა არსებული რესურსი, მათ შორის საერთაშორისო... რათა როგორმე შეაჩეროს ეს ფარული და სახიფათო ანექსია ქართული მიწებისა“.**

**„მხარს დავუჭერ,** — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა 30 სექტემბერს, — **საქართველოს მთავრობის ნებისმიერ მოქმედებას, რათა შევაჩეროთ ეს ანექსია. ახლა მოქმედებათა დროა და ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ კოორდინირებულად“.**

როდესაც კომენტარს უკეთებდა ახალი ხელისუფლების უარს, მის წინადადებაზე თანამშრომლობის შესახებ, მიხეილ სააკაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „საერთოეროვნული კრიზისის“ პირობებში, ყველა ძალა უნდა გაერთიანდეს, მიუხედავად სიმპათიების უქონლობისა.

**შეგახსენებთ, რომ რუსი მესაზღვრეები კვლავ აგრძელებენ საქართველოს სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ დაბრკოლებების მშენებლობას საერთაშორისო ორგანიზაციების კრიტიკის ფონზე. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ნატომ გამოთქვეს შიში იმის გამო, რომ მავთულხლართების აგება რუსი მესაზღვრეების მიერ ეწინააღმდეგება საერთაშორისო კანონებს და 2008 წლის შეთანხმებას რუსეთთან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.**

მაგრამ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ არ მიაჩნია „სამართლიანად“ მცდელობა გადაიტანონ ისრები რუსეთის ფედერაციაზე საქართველოსა და ცხინვალის რეგიონს შორის ადმინისტრაციული საზღვრის სადემარკაციო ხაზის გადატანასთან დაკავშირებით: მოსკოვის წარმომადგენელთა სიტყვებით, სამხრეთი ოსეთი, როგორც „დამოუკიდებელი სახელმწიფო“, ღებულობს ზომებს „თავისი სახელმწიფო საზღვრის მოწყობისთვის“.

## „საერთაშორისო გაერთიანების დახმარებით“

**მავთულხლართების მშენებლობა საქართველოს კონტროლქვეშ მყოფ ტერიტორიაზე საქართველოში პროტესტების ტალღას იწვევს. უკანასკნელ დღეებში სხვადასხვა საზოგადოებრივი დაჯგუფებები ადმინისტრაციულ საზღვართან აწყობენ მშვიდობიან აქციებს მოთხოვნით — შეწყდეს „მცოცავი ოკუპაცია“. ორგანიზაციამ „ხელები შორს საქართველოსგან“ დაიწყო ხელმოწერათა შეგროვება მოთხოვნით, შეაჩერონ ქართული ტერიტორიების ანექსია.**

საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ, სააკაშვილისგან განსხვავებით, რომელიც „აჰყვა რუსულ პროვოკაციებს“ 2008 წელს და „ჩაება“ ომში რუსეთთან, საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას განზრახული აქვს, ებრძოლოს ოკუპაციას საერთაშორისო გაერთიანების დახმარებით.

## „ძალიან გვიანია“

**„ამერიკის ხმის“ რუსეთის სამსახურის კორესპონდენტთან საუბარში პოლიტიკური კვლევებისა და ტექნოლოგიების ცენტრის დირექტორმა კახა კახიშვილმა აღნიშნა სააკაშვილის ორატორული ნიჭი და განაცხადა, რომ პრეზიდენტს მართლაც შეუძლია კარგად წარმოაჩინოს სიტუაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საერთაშორისო არენაზე. ამავე დროს ექსპერტს მიაჩნია, რომ, თუ საქართველოს პრეზიდენტს სურს სარგებელი მოუტანოს თავის ქვეყანას, მას ამისთვის „არ სჭირდება“ პრემიერის ნებართვა. ამავე დროს, კახიშვილის აზრით, წინადადება თანამშრომლობის შესახებ, რომელიც მიმართულია ქვეყნის ახალი ხელისუფლების მიმართ ერთი თვით ადრე პრეზიდენტის პოსტიდან წასვლამდე, ასახავს სააკაშვილის მხოლოდ სურვილს „დარჩეს“ ისტორიაში „როგორც საქართველოს პოლიტიკურ ძალთა შემაკავშირებელი“.**

**„ჩემი აზრით,** — აკონკრეტებს პოლიტოლოგი, — **ამჟამად მეტად გვიანია საუბარი თანამშრომლობის შესახებ, ვინაიდან მთელი წლის განმავლობაში არჩევნებში კოალიციის გამარჯვების შემდეგ ყველაფერს, რასაც აკეთებდა სააკაშვილი, — ეს იყო ახალი მთავრობის ლანძღვა ყველა შესაძლო ფორუმზე“.**

ექსპერტს ეჭვი ეპარება პრეზიდენტ სააკაშვილის უნარშიც „უზრუნველყოს ეფექტიანი რჩევები“ რუსეთის საოკუპაციო მოქმედებებზე რეაგირების თვალსაზრისით, ვინაიდან, კახიშვილის სიტყვებით, **ქვეყნის მართვის ათი წლის განმავლობაში სააკაშვილის საგარეო პოლიტიკამ მიგვიყვანა იქამდე, რომ საქართველომ თავისი ტერიტორიების 20 პროცენტი დაკარგა.**

სხვათა შორის, ახალი მთავრობის პოლიტიკას გამოყოფილი ტერიტორიების საკითხში კახიშვილი აფასებს ასევე კრიტიკულად.

**„საჭიროა შემუშავდეს გენერალური გეგმა, რომელშიც გაანგარიშებული იქნება ყველა სვლა და გამოსავალი სიტუაციიდან, ვინაიდან შექმნილ საკმაოდ რთულ მდგომარეობაში ძნელად რომ შეიძლებოდეს მიესალმო სპონტანურ გადაწყვეტილებებს“,** — მიაჩნია ექსპერტს.

Voice of America

## დედამიწის ზურგზე




**„ადამიანური კაპიტალის ახალ ინდექსში“ რუსეთი 55-ე ადგილზე აღმოჩნდა**

**მსოფლიოს ეკონომიკურმა ფორუმმა გამოაქვეყნა ახალი გამოკვლევის შედეგები, რომელშიც მსოფლიოს 122 ქვეყანა განლაგებულია მათი მიღწევების მიხედვით ოთხ სფეროში — განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, შრომითი საქმიანობა და განვითარების ხელსაყრელი პირობები. პირველ ადგილზე შვეიცარია აღმოჩნდა.**

* * *

**ტიმოშენკო ერთ ნაბიჯზეა საზღვარგარეთამდე — მისი ნივთებიც უკვე გააქვთ კოლონიიდან**



**ექსპრემიერის მცველმა მისი ნივთები კაჩანოვის ციხიდან გაიტანა ჯერ კიდევ ოთხი დღის წინ, შეიტყო პრესამ. „ყველაფერი მზადაა იულიას გასაგზავნად უცხოეთში სამკურნალოდ“, — იტყობინება წყარო. თავად ციხეში „მასობრივი გატანის“ ფაქტს არ ადასტურებენ, მაგრამ აღიარებენ, რომ ზოგიერთი რამ შეიძლება მართლაც გაიტანეს.**

* * *

**ლიბიაში კადაფის დამხობის შემდეგ წამებისგან 27 კაცი დაიღუპა, 8 ათასი პოლიტპატიმარი ციხეებში ჰყავთ**



**გაეროს წევრები შოკირებული არიან იმ წაბილწვების გამო, რასაც აყენებენ ლიბიის ციხეებში მოამარ კადაფის რეჟიმის მომხრეებს. ექსპერტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ბევრ ციხეს სინამდვილეში აკონტროლებს არა მთავრობა, არამედ უშუალოდ სამხედრო დაჯგუფებები.**

* * *

**დიდ ბრიტანეთში სქესობრივი სეგრეგაციის გამო მუსლიმანური სკოლა დახურეს**

**დერბიში „ალ-მადინას“ სკოლას ბრალი დასდეს ისლამური წესების მეტად მკაცრი დანერგვის გამო. მაგალითად, გოგონებს აიძულებენ, ისხდნენ უკანა მერხებზე. თანამშრომლები კი ამტკიცებდნენ, რომ მათ აიძულებდნენ თავზე დაიხურონ ხიჯაბი რწმენის მიუხედავად.**



## ქართული სიტყვიერება

# ვითარცა კულტურის ძეგლი

## „ცისკარი“ 160 წლისაა

**ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემიდან 160 წელი შესრულდა. უფრო ზუსტად — შარშან შესრულდა, მაგრამ საიუბილეო ნომერი ახლახან გამოვიდა და... მისი კურთხევაც 27 სექტემბერს გაიმართა.**

ღირდა დაგვიანებად. საიუბილეო „ცისკარი“ დიდი რუდუნებით, შესანატრი გემოვნებით შექმნილი ჟურნალია, შექმნილი და არა „გაკეთებული“... სუპერზე დაბეჭდილია უნიჭიერესი მხატვრის ირაკლი ფარჯიანის „ყვავილები ჩიტით“, სუპერის მეორე გვერდზე კი თავს იწონებს „ცისკრის“ გადარჩენას შეწირული რედაქტორის ივანე კერესელიძის პაწია ლექსი, რომელსაც 140 წელიწადია მღერიან საქართველოში: **„შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი, დაჰკა გრძნობით დაირასა, თუ ხარ საქართველოს შვილი, ნუ მომაკლებ მაგ ტკბილ ხმასა... მაგა ხმამან სანეტარომ, მომიტანა მწუხარება, მასში ისმის სევდიანი ჩემი ქვეყნის მდგომარება“...**

სწორედ სამშობლო — ქვეყნის „მდგომარებას“, ქართველი ერის ჭირსა და ვარამს ემსახურა „ცისკარი“ წლების განმავლობაში და მეცხრამეტე საუკუნეში 60-იანელთა თაობის, ილია ჭავჭავაძის თაობის დამკვალიანებელი გახდა.

სულმნათმა აკაკი წერეთელმა კი ასე შეაფასა „ცისკრის“ გამომცემლის გიორგი ერისთავის ღვაწლი: **„გ. ერისთავმა გამოსცა ჟურნალი „ცისკარი“ და დააარსა ქართული თეატრი. დიდი გოლიათობა ეჭირვებოდა ამ დროში ამაების სისრულეში მოყვანას... გ. ერისთავმა სამარადისოდ სახსოვარი რამ შესძინა თავის სამშობლოს და თავის თავსაც საჩინო ძეგლი აუგო“...**

100 წლის შემდეგ, 1957 წელს აღდგენილმა ჟურნალმა კი გზა გაუხსნა მე-20 საუკუნის 60-იანელებს, ჩვენდა საბედნიეროდ, ასევე ძლიერ თაობას, შესანიშნავი მწერლისა და მოღვაწის ვახტანგ ჭელიძის ხელმძღვანელობით.

„ცისკრის“ საიუბილეო ნომერი მარტოოდენ ლიტერატურული ალმანახი არ არის, ის გამოკვეთილად საგანმანათლებლო წიგნია ახალგაზრდა მწერალთა, პუბლიცისტთა და ჟურნალისტთათვის. ჟურნალის შემოქმედებით ჯგუფს ზღვა მასალა შეუკრებია და დაუმუშავებია, რომ წარსული და დღევანდელობა სრულყოფილად წარმოჩენილიყო. აქ ყველაფერია — სოლომონ დოდაშვილის უბერებელი შეგონებიდან **(მაშ, რაისათვის ვცოცხალვართ!)** დაწყებული, ახალბედა პოეტის გიორგი არაბულის საოცრად უშუალო, მიწიერი ლექსით დამთავრებული.

ჟურნალი უშურველად წარმოგვიჩენს XIX საუკუნის „ცისკრის“ ქრონიკებს და რჩეულ ამონარიდებს 1852-1875 წლების ცალკეული ნომრებიდან. აქ არის სულხან-საბა ორბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, რაფიელ ერისთავის, თეიმურაზ მეორის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, დავით გურამიშვილის, ილიას, აკაკის, გრიგოლ და ალექსანდრე ორბელიანების, იოანე ბატონიშვილის, ვანო ბარათაშვილის, ბარბარე ჯორჯაძის შედევრები.



XX-XXI საუკუნე, 1957-2013 წლები წარმოდგენილია ჭაბუა ამირეჯიბის, რეზო ჭეიშვილის, გურამ გეგეშიძის, რევაზ მიშველაძის, გურამ პეტრიაშვილის, გულო კობიაშვილის, ჯემალ დავლიანიძის, თემურ ჭკუასელის, ჯემალ ქირიას, თამაზ ხმალაძის, ზაურ კალანდიას, ელგუჯა თავბერიძის, ზურაბ თორიას, დათო ტურაშვილის, მიხო მოსულიშვილის, ბესო ხვედელიძის პროზით. საკუთარ ავტოგრაფიას ორიგინალურად გვიყვება გურამ დოჩანაშვილი. გალაკტიონზე მოგონებათა ნამცვრევს წარმოგვიდგენს გალაკტიონოლოგიის ფუძემდებელი ნოდარ ტაბიძე. რუბრიკით — მწერლის უბის წიგნაკიდან — ვეცნობით როსტომ ჩხეიძის, გურამ ბათიაშვილის, ვაჟა ჩორდელის ახალ ჩანაწერებს. საბავშვო მწერლობა წარმოაჩენს ლევან მალაზონიას ზღაპარს „ერთი მერცხალი გაზაფხულს მოიყვანს“... ერთობ უხვია ქართველ მთარგმნელთა შემოქმედებითი კალათაც. აქ გაეცნობით ბაჩანა ბრეგვაძის (კარლოს კასტანედას), დავით წერედიანის (იოჰან ვოლფგანგ გოეთეს), გურამ გოგიაშვილის (პაოლო კოელიოს), დალი ფანჯიკიძის (ინგებორ ბახმანის), ლევან ბრეგაძის (უცხოელი ავტორები), ზეზვა მედულაშვილის (ჰაფეზი შირაზელის), ელზა მეტრეველის (პიოტრ ჩაადაევის) სრულყოფილ თარგმანებს. მკითხველს უთუოდ დააინტერესებს დრამატურგ ირაკლი სამსონაძის პიესა, ლერი ალიმონაკის და ანდრო ბუაჩიძის წერილები, ივანე ამირხანაშვილის ესეი, ამირან გომართელის „წმინდა რჩეული“ და ციალა არდაშელიას „გულამოსკვნილი ვტიროდი“.

როგორც მოსალოდნელი იყო, ცისკრის საიუბილეო ნომერი ყველაზე გულგაშლილად წარმოგვიდგენს თანამედროვე პოეტებს, სულ 76 კალმოსანს, მათ შორის ისეთ აღიარებულ პოეტებს, როგორებიც არიან ჯანსუღ ჩარკვიანი, ემზარ კვიტაიშვილი, თამაზ ჭილაძე, ახლახან გარდაცვლილი ანზორ აბულაშვილი, ტარიელ ჭანტურია, მედეა კახიძე, გივი შაჰნაზარი, ვახტანგ ჯავახაძე, თამარ ჯავახიშვილი, რეზო ამაშუკელი, ლია სტურუა, ბესიკ ხარანაული, გენო კალანდია, შოთა ზოიძე, მანანა ჩიტიშვილი, ეთერ თათარაიძე, მაყვალა გონაშვილი, დავით შემოქმედელი, ია სულაბერიძე, თეიმურაზ ლანჩავა, ზაალ ებანოიძე, ლაშა ნადარეიშვილი, თამარ შაიშმელაშვილი და სხვ.

ჟურნალი ცისკარი ყოველთვის გამორჩეული გამოცემა იყო. მან არაერთი თაობა აღზარდა, ხელი შეუწყო ჩვენი ეროვნული თვითშეგნების გაღრმავებას, მშობლიური ლიტერატურის განვითარებას... **ამიტომაც სრულიად სამართლიანი იყო კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილება ჟურნალისთვის არამატერიალური კულტურის ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ!** ეს სასიამოვნო ინფორმაცია „ცისკრის“ პრეზენტაციაზე გაახმოვანა მინისტრმა გურამ ოდიშარიამ და... ჟურნალს მატერიალური დახმარებაც აღუთქვა. კარგია, რომ კულტურის სამინისტროსთან ერთად, საიუბილეო ნომრის გამოშვებაში საკუთარი წვლილი გაიღო თბილისის მერიის კულტურისა და განათლების სამსახურმა.

„ცისკრის პრეზენტაციაზე სიტყვები წარმოთქვეს ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა ბაღათერ არაბულმა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა, პოეტმა, ცისკრის ყოფილმა რედაქტორმა ჯანსუღ ჩარკვიანმა, ჟურნალის სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ გრიგალაშვილმა, კინორეჟისორმა რეზო ჩხეიძემ, თბილისის მერიის კულტურისა და განათლების საქალაქო სამსახურის უფროსმა შოთა მაღლაკელიძემ...

საიუბილეო გამოცემის მესვეურთ არც შემოქმედებითი დიპლომატია დავიწყებიათ: პირველსავე გვერდებზე წარმოდგენილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის ივანე კიღურაძის, კულტურის მინისტრ გურამ ოდიშარიას და ბერი დავითის — ჭაბუა ამირეჯიბის მისალოცი წერილები.

**საზეიმო განწყობის მიუხედავად, საიუბილეო „ცისკრის“ პრეზენტაციაზე მოსული ყველა სტუმარი ერთხმად ამბობდა, რომ ჟურნალს მატერიალური მხარდაჭერა და სახელმწიფოებრივი ზრუნვა სჭირდება, რომ მისი სისტემატური, თვეში ერთხელ გამოცემა არ გაჭირდეს!**

**ამ დღეებში „ცისკარს“ ოფიციალურად მიენიჭება არამატერიალური კულტურის ძეგლის სტატუსი! წარმოიდგინეთ, როგორი საყოველთაო სირცხვილი იქნება, რომ კულტურის ძეგლი მინიმალური დაფინანსების, უფრო ზუსტად, დაუფინანსებლობის გამო ჩაიძიროს!..**

**სპარტაკ ქოზულია**

## ყოფა

# თურქული კულტურული ექსპანსია დაიწყო

**(მეშვიდე გვერდიდან)**

სამწუხაროდ საქართველოს მოსახლეობამ თანამედროვე თურქულ ცხოვრებასა და საკუთარ ადათ-წესებში ბევრი საერთო აღმოაჩინა. ერთ-ერთმა ჩემმა ნაცნობმა ეს ფენომენი შემდეგნაირად ახსნა:

**„ოჯახური ტრადიციები, რამდენიმე თაობა ერთად რომ ცხოვრობს. გლოვა გვაქვს მსგავსი - წივილ-კივილით და თავში ხელების ცემით, ქალები ოთახში და მამაკაცები გარეთ. აკვანიც დავინახე. კიდევ ქალიშვილობის ინსტიტუტი, თუმცა, ეს ტრადიცია ჩვენშიც იკლებს და როგორც ჩანს — თურქეთშიც. კაცების ჰეგემონიაა ქალებთან შედარებით. თურქულ სერიალებშიც ერიდებიან გადამეტებულ სექსუალურ სცენებს და ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას. ნათესაური კავშირები. იქაც აქვთ ტერმინი — „რას იტყვის ხალხი“. ერთია, რომ ჩვენ სულ „ღმერთოს“ ვიძახით და ისინი სულ „ალაჰს“.**

**თურქული ტელესერიალები ძალიან იაფი ღირს, ხარისხით კი სამხრეთამერიკულ პროდუქციას აღემატება. ნებისმიერი სურათი მხოლოდ 100-მდე სერიას მოიცავს და ვენესუელური თუ კოლუმბიური „თანამოძმეებისაგან“ შედარებით გაწელილი არ არის.**

ჭკვიანი ხალხია თურქები. საკუთარ ქვეყანაში ტურისტული ინდუსტრიის განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევენ და ამ საქმეში სერიალები თავის მნიშვნელოვან როლს ასრულებს. პირადად ვიცი რამდენიმე ქართული ოჯახი, რომლებსაც სტამბოლის მონახულება გულში უკვე ამოუჭრია და მომავალი წლის ზაფხულში ამ სურვილის ასრულებას შეეცდება. ეს ხალხი ამბობს, რომ ამ ნაბიჯისკენ თურქულმა სერიალებმა უბიძგეს.

ჩვენი მოსახლეობის ნაწილი მეზობელ სახელმწიფოში სტუმრობაზე ოცნებობს. იქ ჩასულებს ადგილობრივებთან კომუნიკაციის საშუალება რომ ჰქონდეთ, უახლოეს მომავალში მთელს საქართველოში, ალბათ, თურქული ენის შემსწავლელი კურსები დიდი რაოდენობით გაიხსნება.

ჩემი პირადი აზრი გახლავთ, მაგრამ რაც საუკუნეების განმავლობაში ოსმალებმა ცეცხლითა და მახვილით ვერ მოახერხეს, „უწყინარი“ თურქული სერიალები მოკლე დროში შეძლებენ. არავინ კამათობს, რომ ბათუმი პრაქტიკულად თურქული ქალაქი გახდა და ამ სამწუხარო ტენდენციას სრულიად საქართველო ეწინააღმდეგება. ყოველ მედალს მეორე მხარე აქვს. დაფიქრებულხართ, რომ ბოლო თვეებში ჩვენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თურქული კულტურული ტყვეობის მსხვერპლი გახდა და ეს ტენდენცია უფრო და უფრო საშიშ სახეს ღებულობს.

მეეჭვება, ამ სერიალების მასობრივი შემოდინება ვინმეს სპეციალურად დაეგეგმა. ტელეინდუსტრია ბიზნესის ერთ-ერთი სახეობაა და თუ პროდუქცია მოთხოვნადია, ის კარგად იყიდება. საქართველოში თურქულმა ფილმებმა დიდი პოპულარობა მოიპოვა და ტელევიზიებს მის ჩვენებაში ბრალს ვერ დავდებთ. უბრალო დიასახლისს ვერ აუხსნი, რომ ამ ფილმების მუდმივი ყურებით მისი მსოფლმხედველობის თანდათანობით შეცვლა მიმდინარეობს და ამ პროცესს ადრე თუ გვიან მისი „გათურქება“ მოჰყვება.

შეიძლება მკაცრად ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ იმ კატეგორიას მივეკუთვნები, რომლებიც ამ სერიალების მოწინააღმდეგეთა რიცხვში შედიან.

თურქული სერიალების პოპულარობის ერთ-ერთი ფაქტორი იქ მოთამაშე მსახიობების პროფესიონალიზმი და გარეგნობაა. ქართველი მანდილოსნები იქაური კაცებით აღფრთოვანებულები არიან, ჩვენმა მამაკაცებმა კი აღმოაჩინეს, რომ „ოსმალო“ დიაცები სილამაზით რუსებსა და უკრაინელებს არ ჩამოუვარდებიან. შედით ნებისმიერ ქართულ ფორუმზე და ნახავთ, რომ თურქი აქტიორების ღირსებებზე დიდი და პატარა გაცხოველებული მსჯელობს. გამიკვირდა და ამ პროცესში ქართველი კაცებიც მონაწილეობენ. მაგალითად, ფატმანგული უფრო ლამაზია თუ სილა.

საქართველოში არაერთი პრობლემა დაგროვდა, რომლებსაც გადაწყვეტა ესაჭიროება. წავიდნენ ხელისუფლების სათავიდან საძულველი „ნაციონალები“. წესითა და რიგით ქვეყანა უნდა განვითარდეს და ამ საქმეში ქართველმა საზოგადოებამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს. ჩემი პირადი აზრია, რომ თურქული სერიალები ჩვენი მოსახლეობის სულიერ დეგრადაციას ემსახურება და ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ ქვეყნის ტრადიციების დამკვიდრებას ემსახურება.

| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>ბ) საბადოს დამუშავება უნდა მოხდეს ჰიფსომეტრიულად მაღალი ნიშნულიდან დაბლის მიმართულებით, ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმის წარმოების ტექნიკური უსაფრთხოების ნორმებისა და წესების დაცვით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოკამის მიმდებარე ტერიტორია, ვულკანური წიდის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 5 000 $მ^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოკამის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 3 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 4 ნოემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 4 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 4 ნოემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი №39** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან |

| | | |
|---|---|---|
| | | ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. კრასნოგორსკის მიმდებარე ტერიტორია, „კრასნოგორსკის" ქვიშაქვის (სამშენი მასალა) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 100 450 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. კრასნოგორსკის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 3 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 4 ნოემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 4 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 4 ნოემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 15 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი №40**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანის დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ახალციხის ტერიტორია, მდ. ფოცხოვისწყალზე „ფოცხოვისწყლის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 42 900 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ახალციხის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 6 124 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 612,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 425 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 3 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 4 ნოემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 4 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 4 ნოემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 4 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი №41**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანის დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. კონტუათის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ცხენისწყლის ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 99 300 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. კონტუათის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 16 143 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 614,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 3 429 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 3 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 4 ნოემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 4 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 4 ნოემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი №42**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანის დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავებამდე უნდა მოიძებნოს და კანონმდებლობით დადგენილი წესით მოეწყოს არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზის ალტერნატიული ვარიანტი.<br>ბ) ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ღვანკითის მიმდებარე ტერიტორია, ხილიკომანგანუმის (ტექნოგენური დანაგროვი) ქერქული ნარჩენების გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 4 250,88 ტონა). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ღვანკითის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 3 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 4 ნოემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 4 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 4 ნოემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი №43**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანის დასახელება | | |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) საბადოს დამუშავება უნდა მოხდეს ჰიფსომეტრიულად მაღალი ნიშნულიდან დაბლისკენ, მოქმედი ტექნიკური უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) კარსტული სიცარიელეების გახსნის შემთხვევაში, უნდა შეჩერდეს მოპოვებითი სამუშაოები მანამ, სანამ არ დაზუსტდება სიცარიელეების პარამეტრები და აქედან გამომდინარე, სამუშაოების გაგრძელების შესაძლებლობა.<br>დ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება არ უნდა განხორციელდეს ბურღვა-აფეთქებითი მეთოდით და საფრთხე არ უნდა შეექმნას მიმდებარედ არსებული დაცული ტერიტორიების (კარსტული მღვიმეები, ბიომრავალფეროვნება) არსებობასა და ფუნქციონირებას.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოქალაქეებს არ შეუზღუდოს გადაადგილების უფლება ლიცენზიით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები, ასევე, სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი დასკვნით (გეოსაინჟინრო/[illegible] პაკეტი) გათვალისწინებული პირობები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ხომულის მიმდებარე ტერიტორია, „ხომულის" მარმარილოსმაგვარი კირქვის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად - 2 409 000 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ხომულის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 3 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 4 ნოემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 4 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 4 ნოემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის | 20 წელი |
| | მოქმედების ვადა | |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

ფეხბურთი

# ერიდეთ ალბიონს

**ტრადიცია იმისაა, რომ ოდესმე დაირღვეს. ვერ გეტყვით, როდემდე გასტანს „ნაპოლის" მოუგებელი ინგლისური მატჩების სერია, მაგრამ ფაქტია, რომ მინიმუმ გაისამდე იგი აუცილებლად შენარჩუნდება.**

ჩემპიონთა ლიგის ე. წ. სიკვდილის ჯგუფზე მოგახსენებთ, სადაც რაფაელ ბენიტესის ახალი გუნდის ერთ-ერთი მეტოქე ლონდონის „არსენალი" გახლავთ. სწორედ „ემირეითს სთედიუმზე" გამართულ მათ შეხვედრაზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

გულშემატკივარმა უკვე იცის, რომ მთავარ მწვრთნელ ვალტერ მაცარისთან ერთად იტალიური კლუბი მრისხანე მოიერიშე ტრიოს (ლავეცი, კავანი, ჰამშიკი) მეორე წევრმა დატოვა, ხოლო გუნდის კაპიტანმა კანავარომ ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა.

კიდევ უფრო სერიოზული საკადრო პრობლემებით ჩაებნენ გათამაშებაში „მეთოფეები". დაგვეთანხმებით, ტრავმირებული პოდოლსკის, უოლკოტისა და კასორლას არყოფნა, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, სოლიდური დანაკლისია.

შემსრულებელთა ასეთი საგრძნობი დეფიციტის მიუხედავად, სტუმარ-მასპინძლები წამყვან პოზიციებზე იმყოფებიან როგორც „სერია — ა"-ში, ისე პრემიერლიგაში, რის გამოც მათი ჯახი სამართლიანად მოინათლა ჯგუფური რაუნდის მეორე ტურის ცენტრალურ ბრძოლად.

ამთავითვე მოვჭრით — არსენ ვენგერმა პირწმინდად მოუგო ტაქტიკური დუელი ღირსეულ კოლეგას — 2:0 (იოზილი, ჟირუ) და კიდევ ერთხელ დაადასტურა წლევანდელი ამბიციების საფუძვლიანობა.

**დანარჩენი შედეგები: „ე" ჯგუფი.** „სტიაუა" — „ჩელსი" 0:4, „ბაზელი" — „შალკე" 0:1.

„შალკე" — 6, „ბაზელი", „ჩელსი" — 3-3, „სტიაუა" — 0 ქულა.

**„ვ" ჯგუფი.** „არსენალი" — „ნაპოლი" 2:0, „ბორუსია" — „მარსელი" 3:0.

„არსენალი" — 6, „ნაპოლი", „ბორუსია" — 3-3, „მარსელი" — 0 ქულა.

**„ზ" ჯგუფი.** „პორტუ" — „ატლეტიკო" 1:2, „ზენიტი" — „აუსტრია" 0:0.

„ატლეტიკო" — 6, „პორტუ" — 3, „აუსტრია", „ზენიტი" — 1-1 ქულა.

**„თ" ჯგუფი.** „აიაქსი" — „მილანი" 1:1, „სელტიკი" — „ბარსელონა" 0:1.

„ბარსელონა" — 6, „მილანი" — 4, „აიაქსი" — 1, „სელტიკი" — 0 ქულა.

**გიორგი შოთაძე**



ადამიანი — თავის ადგილზე!



# ჩემპიონი ფიცარნაგს დაუბრუნდა

**ტალინური ევროპირველობიდან ტრიუმფით დაბრუნებულ ახალგაზრდა ქართველ ძალოსნებს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ზღვა ხალხი შეეგება.**

**მათ შემხედვარეს, გული სიამაყით ამევსო — ტალანტებს რა გამოლევს შტანგის დიდოსტატთა სამშობლოში.**

უცებ ჩემი ყურადღება იმ ტიტრმა მიიპყრო, რომელიც გვამცნობდა, რომ ერთ-ერთი საინფორმაციო გამოშვების ტელემაყურებლებს საკუთარ შეგირდთა ესტონური წარმატების შესახებ აზრს ოლიმპიური ჩემპიონი, „ჯვაროსანთა" მთავარი მწვრთნელი გიორგი ასანიძე უზიარებდა.

ძალაუნებურად, ის კადრები გამახსენდა, თანამემამულეთა უსაზღვრო სიყვარულით გარემოსილ საჩხერელ ათლეტს იქვე როგორ უბრწყინავდა თვალები, როცა ათენიდან ოლიმპიური ოქროთი მკერდდამშვენებულს, გულშემატკივრებმა გრანდიოზული დახვედრა მოუწყვეს.

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა. სამწუხაროდ, ხელმწიფის ნავში ჩაჯდომის ცდუნებას ვერც ასანიძემ გაუძლო და ნაციონალური სახადის მოხდის პერიოდში როგორც პიროვნულ (ბადრი პატარკაციშვილი), ისე საზოგადოებრივ (სპორტის აკადემია) ფიცარნაგებზე ჭიდილში ჩაიჭრა.

რასაკვირველია, შეუმცდარი არავინაა, მაგრამ ისეთი პოპულარული პიროვნებისგან, როგორიც უმაღლესი სპორტული ტიტულის მფლობელია, ერი ადეკვატურ ნაბიჯებს მოითხოვს. სამართლიანადაც.

ჰოდა, რადგან გიორგიმ ბინძურ პოლიტიკას უგანა და ჭეშმარიტ მოწოდებას დაუბრუნდა, იქნებ ქართველმა ხალხმა შეუნდოს იაღლიშები და კიდევ ერთხელ დადასტურდეს, რომ ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, თავის ადგილზე ფასობს.

**გია პლატონიშვილი**

ვარსკვლავი

# რაფა ნადალი: კარიერის ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ვატარებ

**ესპანელი რაფა ნადალი ამჟამად პეკინში ასპარეზობს და ჩინეთის დედაქალაქის საჩოგბურთო შეჯიბრების სასტარტო მატჩში კოლუმბიელ სანტიაგო ხირალდოს ბარიერი უპრობლემოდ დაძლია. ამ დაპირისპირების შემდეგ 27 წლის მალიორკელი ჟურნალისტებს შეხვდა და რეიტინგსიაში დაწინაურების რეალურ პერსპექტივაზე ისაუბრა.**

**— პეკინის ტურნირში ნახევარფინალში გასვლის შემთხვევაში მსოფლიო რეიტინგში პირველ პოზიციაზე დაბრუნდებით. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის კლასიფიკაციის ლიდერობა?**

— ჩინეთის დედაქალაქის შეჯიბრების დაწყებამდე არცკი ვიცოდი, რომ პეკინში ნახევარფინალში გასვლა სალიდერო საფეხურზე დამაბრუნებდა. ეს თქვენგან, ჟურნალისტებისგან შევიტყვე. მხოლოდ ერთი რამ შემიძლია მოგახსენოთ — თუკი ბოლო თვეების განმავლობაში ნაჩვენებ თამაშს სამომავლოდაც შევძლებ, რეიტინგში პირველ ადგილზე აუცილებლად გადავინაცვლებ, შემდგომში კი სალიდერო პოზიციის შეძლებისდაგვარად დიდი ხნით შენარჩუნებას შევეცდები.

**— დიდი სლემის ტურნირები 13-ჯერ გაქვთ მოგებული. რამდენად**



**რეალურად მიიჩნევთ, მეიჯორებზე გამარჯვებების მაჩვენებლით როჯერ ფედერერს დაეწიოთ?**

— 27 წლის ვარ და იმაზე მეტი საჩოგბურთო ოცნება ავიხდინე, რასაც კარიერის დასაწყისში წარმოვიდგენდი. მხოლოდ ერთი რამ შემიძლია დაგპირდეთ — უფრო მეტს ვიშრომებ, რათა საკუთარი გამოსვლით კმაყოფილი დავრჩე და გულშემატკივრებიც გავახარო. თუკი ჯანმრთელობამაც ხელი შემიწყო, უახლოესი 4 სეზონის განმავლობაში რამდენიმე მნიშვნელოვან შეჯიბრებას აუცილებლად მოვიგებ. ცხადია, ამ ტურნირებში დიდი სლემის ასპარეზობებსაც ვგულისხმობ. ამასთან, ისიც კარგად მესმის, რომ როჯერის დაწევა მეტად რთული საქმეა. ვერ გეტყვით, მოვახერხებ თუ არა მისი მაჩვენებლის გაუმჯობესებას. საამისოდ დიდძალი შრომა და კორტზე ენერგიის ბოლომდე დახარჯვა მომიწევს.

**— სეზონი ჯერჯერობით დასრულებული არაა, თუმცა წლის მიწურულს მისი შეჯამება უკვე შეიძლება...**

— მიუხედავად იმისა, სეზონი გვიან რომ დავიწყე, მისი მსვლელობითა და საკუთარი თამაშით მეტად კმაყოფილი ვარ. კარიერის განმავლობაში ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ვატარებ. ამიტომაცაა რეიტინგში წინ რომ წავიწიე და პირველ პოზიციამდე დაწინაურების რეალური შანსი გამიჩნდა.

**მანუჩარ გიორგაძე**

ჩვენებურები

# მერაბ ჟორდანია: ჩემპიონობა? რატომაც არა



**არნემის „ვიტესის" მეპატრონე მერაბ ჟორდანია მიმდინარე სეზონში მისი გუნდის ჰოლანდიის ერედივიზიონში გაჩემპიონებას არ გამორიცხავს.**

„ყველაფერი შესაძლებელია. ნათელია, რომ ჩვენი მიზანი ევროთასებზე კიდევ ერთხელ მოხვედრაა. შესაძლოა, უფრო მეტსაც მივაღწიოთ და ჩემპიონთა ლიგაშიც ვითამაშოთ. არ მიკვირს, რომ ამჟამად მოწინავეთა შორის ვართ. აქ ჩვენ ყოველდღე ვმუშაობთ, რომ შედეგს მივაღწიოთ. ჩემპიონობაც შეგვიძლია, რატომაც არა?" —იუწყება ჟორდანიას სიტყვებს ჰოლანდიური პრესა.

ამჟამად „ვიტესი" 14 ქულით ჰოლანდიის 18-გუნდიან ჩემპიონატში მე-4 ადგილზეა და ლიდერ „ტვენტეს" ერთი ქულით ჩამორჩება. თანაც, არნემელებს ერთი თამაშით ნაკლები აქვთ.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ინტერნეტიდან

# ჰუმელსის სატრფო არ იხდის

**ცნობილი გერმანელი ფეხბურთელის მატს ჰუმელსის სატრფო ქეითი ფიშერი ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლისია, რომელიც პოპულარულმა ევროპულმა ბულვარულმა გამოცემებმა ტიტლიკანად ფოტოების გადაღებაზე მრავალი მცდელობის მიუხედავად ვერა და ვერ დაითანხმეს.**

ქეითი ფიშერი ამბობს, რომ მას ასეთი რამეები საერთოდ არ აინტერესებს და ვერანაირ სიამოვნებას ვერ იღებს, როდესაც კამერის წინ პოზიორობს და სრულიად უცნობი ათეულობით ადამიანი აკვირდება. ჰუმელსის გოგო ამბობს, რომ მისი სატრფოც იზიარებს ამ შეხედულებას.

ქეითი ფიშერი და მატს ჰუმელსი უკვე სამი წელია ერთმანეთს ხვდებიან და ბოლო წელიწადნახევარი ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ. მიუხედავად ასეთი სიახლოვისა, წყვილი ქორწინებაზე ჯერ არაფერს ამბობს, რაც არაა გასაკვირი, თუკი ევროპული საქორწინო სამართლის ახლართულ-ჩახლართულობას გავითვალისწინებთ...

**როსტომ რაჭველიშვილი**



## ჩვენი კარაბადინი

### პროფესორ დოუელის თავი

**ოცი წლის წინათ დღესაც პოპულარული გაზეთის რედაქციაში ასეთი კაზუსი მოხდა. დამწყებმა ჟურნალისტმა მიიტანა სტატია მედიკოსების გმირული ბრძოლის შესახებ სხვადასხვა დაავადებებთან. სტატიას ის ამთავრებდა ფრაზით, რამაც მისი გამოცდილი კოლეგების ჯერ აღუწერელი გაოცება, შემდეგ კი ჰომეროსული ხარხარის გაუთავებელი შეტევები გამოიწვია.**

ეს ფრაზა რედაქციაში, რასაკვირველია, ამოშალეს. თუმცა, თუ სერიოზულად ვიმსჯელებთ, არაფერი მასში სასაცილო არ ყოფილა. უბრალოდ, ახალგაზრდობისთვის დამახასიათებელი უკომპრომისობით მან დაწერა ის, რაზეც ასაკში შესული ადამიანები ცდილობენ არ იფიქრონ. როდესაც სტატიაში განიხილავდა საკითხს ქალაქის საავადმყოფოებში ლეტალური შედეგების შემცირების შესახებ, მან გულუბრყვილოდ ბოლოში სამართლიანად შენიშნა: „მაგრამ, საერთოდ, დედამიწაზე 100-პროცენტიანი სიკვდილიანობაა!“

ეს, რასაკვირველია, უდავო ფაქტია. ბუნებას ვერ მოატყუებ. მაგრამ ადამიანებს არასოდეს ნდომებიათ შეურიგდნენ ასეთი დასასრულის გარდაუვალობას. რომის იმპერატორები თავიანთ თავს უკვდავებად აცხადებდნენ, და თავადაც, ალბათ, სჯეროდათ ეს. ალქიმიკოსები ბანგს ხარშავდნენ იმ იმედით, რომ კაცობრიობას მისცემდნენ „უსასრულო“ ცხოვრების შანსს. მწერალი-ფანტასტები ფსონს დიდ მეცნიერებაზე ჩადიოდნენ. გაიხსენეთ თუნდაც ალექსანდრ ბელიაევის „პროფესორ დუელის თავი“.

ფანტასტების იმედები ბევრად გამართლდა. ამჟამად მიკროქირურგებს კატასტროფიდან რამდენიმე საათის შემდეგაც კი შეუძლიათ „მიაკერონ“ მოწყვეტილი ხელი. ტრანსპლანტოლოგები აწარმოებენ გულის, ღვიძლის, თირკმელების... გადანერგვას. კლონირების ჯერჯერობით ნაკლები წარმატებები არც ისე შორეული მომავლისთვის გვპირდება სპეციალურად გამოზრდილ „სათადარიგო ნაწილებს“ ადამიანის სხეულისთვის. იქნებ მართლებიც აღმოჩნდნენ ისინი, ვინც გარდაცვალების წინ წავიდა ექსტრავაგანტურ ნაბიჯზე: დიდი ფულის სანაცვლოდ გაეყინათ მათი სხეული „უკეთეს დრომდე“.

მაგრამ ცაში წერო ხომ არაა ეს „უკეთესი დრო“? და კიდევ, რამდენი ვიქნებით მაშინ დედამიწაზე? რვა, ათი ან ოცი მილიარდი? ეყოფა ყველას იმ შესანიშნავი მეცნიერების ნამუშევარი?!

და აქ დროა, გავიხსენოთ ის „წივწივა“, ანუ ის დღევანდელი კვერცხი, ხვალინდელ ქათამს რომ გვირჩევნია და ყველას ხელში გვიჭირავს. მაგრამ ჩვენ მას რატომღაც დაჟინებით უგულებელვყოფთ. რა არის მთელი ჩვენი ცხოვრების მთავარი პარადოქსი? ის, რომ, როდესაც ოცნებობს სანუკვარ უკვდავებაზე, ადამიანი ძალიან ხშირად არ იყენებს უკვდავების იმ რესურსსაც კი, რომელიც მას ბუნებამ ავანსად მისცა დაბადებიდანვე. ესე იგი ხშირად ჩვენ ვცოცხლობთ 5, 10 და 20 წლითაც კი ნაკლებს, რაც შეგვიძლია. და დამნაშავენი, რასაკვირველია, ჩვენვე ვართ.

მაგრამ არის მეორე პარადოქსიც. ამ ცოტა ხნის წინანდელმა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ აჩვენა: გამოკითხულთა 85 პროცენტმა ეს იცის და სულაც არ ეპარება ეჭვი, რომ ცხოვრების სწორი წესის დაცვით შეიძლება გავლენა მოახდინოს მის ხანგრძლივობაზე. მაგრამ ამავე დროს დიდი უმრავლესობა — გამოკითხულთა სამი მეოთხედი — თავისი ჯანმრთელობისთვის ზრუნვას იწყებს მაშინ, როდესაც დრო უკვე დაკარგულია. ეს კი საბაზრო ეკონომიკის პირობებში დაკავშირებულია არა მხოლოდ რისკებთან, არამედ დიდ ხარჯებთანაც, რომლებიც ახლა მხრებზე აწვებათ თავად პაციენტებს.

### ვარჯიში სისხლძარღვებისთვის

**შესაძლებელია, იგივე ეკონომიკური თვალსაზრისით, საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვამ თავის დროზე გამოაცხადა კურსი პროფილაქტიკური მედიცინის განვითარებაზე. ეს იყო არა ცარიელი სიტყვები, არამედ რეალური სახელმწიფო პოლიტიკა. დროულად რომ ამოეცნოთ ახლადწარმოჩენილი ავადმყოფობა, პოლიკლინიკებში დაიწყო მოსახლეობის მასობრივი დისპანსერიზაცია. უდიდესმა სამეცნიერო ცენტრებმა კი დაიწყეს პროფილაქტიკური დანიშნულების ნატურალური პრეპარატების დამუშავება, რომელთა მიზანიც სხვადასხვა დაავადების თავიდან აცილება ან მათი განვითარების შეჩერება იყო.**

უწინარეს ყოვლისა, ეს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს შეეხებოდა. ისინი ხომ, როგორც ცნობილია, განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში სიკვდილიანობის მთავარი მიზეზების სიაში ლიდერები არიან. ერთ-ერთ ასეთ საშუალებას, რომელიც ციმბირის ორგანული ქიმიის ინსტიტუტში დაამუშავეს, წარმატებით იყენებენ ამჟამად ასეული ათასობით რუსეთელი და საზღვარგარეთის მცხოვრებლები.

პრეპარატის სახელწოდებიდან — „კაპილარი“ — ცხადია: მის შემადგენლობაში შემავალი ბიოლოგრიურად აქტიური ნივთიერებანი ზემოქმედებას ახდენენ უწვრილეს სისხლძარღვებზე — კაპილარებზე, სადაც, არსებითად, წარმოიქმნება ხოლმე კიდეც ჩვენი „გულისა და ტვინის“ უბედურებანი. მაგალითად, გაზრდილი არტერიული წნევა იწვევს სისხლძარღვთა ვადამდელ დაბერებას, ამას კი მივყავართ გულის პრობლემებთან, იგი იწვევს თავის ტვინის სისხლძარღვთა დაზიანების პროვოცირებას. აი აქ კი შეუძლია თქვას თავისი საფუძვლიანი სიტყვა უწვრილესი სისხლძარღვების „მწმენდავმა“ სიტყვამ — „კაპილარი“.

ხომ ცნობილია, რომ კაპილარები, ადამიანის მთელ სხეულს რომ მსჭვალავენ, არაჩვეულებრივად წვრილები არიან. ისინი ადამიანის თმაზე 15-ჯერ წვრილები არიან! მაგრამ ყველამ როდი იცის, რომ მათი ჯამური სიგრძე ფანტასტურად დიდია და 100 000 კილომეტრს აღწევს. ამიტომაა, რომ ამ უწვრილესი სისხლძარღვების ქსელში თავისუფლად ეტევა მთელი ჩვენი სისხლის მოცულობის 80 პროცენტი.

მაგრამ ასეა, სანამ ადამიანი ჯანმრთელია. კაპილარების შევიწროების, მათი გადაკეტვის ან დაჭკნობის დროს სისხლისთვის უკვე ადგილი აღარაა კაპილარების მრავალკილომეტრიან ქსელში. ამის გამო ეწევა სწორედ ადამიანს მაღლა არტერიული წნევა. დასკვნა ნათელია: წნევა რომ ნორმაში შევინარჩუნოთ, უწვრილესი სისხლძარღვები სისტემატურად უნდა „ვასუფთაოთ“, ვაწარმოოთ თავისებური ვარჯიშები მათი კედლებისთვის. ყოველივე ამას, არსებითად, აკეთებს კიდეც დროის მიერ შემოწმებული ბიოდანამატი „კაპილარი“.

## რისთვის გვჭირდება უკვდავება?

### ანუ რა უშლის ადამიანს ხელს გამოიყენოს დღეგრძელობის ის რესურსი, ბუნებამ რომ მისცა ავანსად




„კაპილარი“ ასევე ხელს უწყობს სისხლდენის თანაბარზომიერ განაწილებას წვრილ სისხლძარღვებში, აწესრიგებს ქსოვილების სისხლით მომარაგებას. გასაგებია, რომ ამ დროს უმჯობესდება გულის კუნთის კვება და სისხლით მომარაგება. განიტვირთება დიდი სისხლძარღვები, რაც ხელს უწყობს არტერიული წნევის ზომიერ გათანაბრებას. მხოლოდ ბუნებრივი კომპონენტებისგან შემდგარი ბიოდანამატი „კაპილარი“ მოქმედებს ბუნებრივი გზით, რისი წყალობითაც აღწევს წარმატებას. ადამიანს უჩნდება რეალური შანსი შეამციროს სისხლძარღვთა კატასტროფის რეალური შანსი და შეინარჩუნოს კარგი გუნება-განწყობილება.

### ცოტაოდენი ცინიზმი

**მაგრამ, რამდენადაც ეს ცინიკური არ უნდა იყოს, ერთი წუთით დავივიწყოთ ცალკეულად აღებული პაციენტის უბედურება და პრობლემას შევხედოთ სახელმწიფოს მასშტაბითა და ინტერესით. ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობის მაჩვენებლების პროგრესირებადმა დაქვეითებამ შეიძლება მიგვიყვანოს იმასთან, რომ 2050 წლისთვის დავკარგავთ ჩვენი მოსახლეობის 30 პროცენტს. ესე იგი რუსეთში იცხოვრებს 101,5 მილიონი კაცი. შევნიშნავთ, რომ ეს სულაც არაა ცარიელი სიტყვები, არამედ არის მონაცემები ამერიკის შეერთებული შტატების ანგარიშიდან კაცობრიობის განვითარების გლობალური ტენდენციების შესახებ.**

და სწორიცაა. თუ ვერ შევძლებთ არსებითაც შევამციროთ სიკვდილიანობა, ასეთი რამ გამორიცხული არაა. მაგრამ ვინ იმუშავებს მაშინ განვითარებად მრეწველობაში, ვინ წასწევს წინ სამამულო მეცნიერებას? და ადამიანთა ასეთი რესურსების დროს დავიცვათ ჩვენი ქვეყანა? თანაც საჭიროა გამოვკვებოთ მოსახლეობა საკმარისად — ვაწარმოოთ მათთვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია!

და აი აქ გვახსენდება საბჭოთა სანიტარიული განათლების მაშინდელი მომაბეზრებელი მოწოდებები: „ავადმყოფობის თავიდან აცილება უფრო იოლია, ვიდრე განკურნება!“ რასაკვირველია, მაშინდელი წლების მასობრივი დისპანსერიზაცია ატარებდა ფორმალურ და იძულებით ხასიათსაც კი. მაგრამ, რამდენიც უნდა ილაპარაკო, ქვეყნის მოსახლეობის შენარჩუნებისა და გამრავლებისთვის და ხანგრძლივი ცხოვრების მიღების შანსისთვის უკეთესი საშუალება, ვიდრე პროფილაქტიკაა, მეცნიერებას ჯერ ვერაფერი მოუფიქრებია. ეს ხომ არ არის ის ეროვნული იდეა, რომელიც ძალიან სჭირდება სახელმწიფოსაც, თითოეულ ოჯახსაც. მით უმეტეს, რომ დაავადებათა დროული ამოცნობისა და თავიდან აცილებისთვის მეცნიერები გვაძლევენ ახლა სულ უფრო და უფრო მეტ შესაძლებლობას.

საერთოდ, ისეთი შესაძლებლობა, რასაც ადამიანს აძლევს„კაპილარი“, ხელიდან არ უნდა გავუშვათ! საკითხი ხომ შეეხება იმას, თუ რა ხანგრძლივობისა იქნება ჩვენი ცხოვრება, და შევძლებთ თუ არა მისი მეშვეობით გავინათოთ გონება და შევიქმნათ საუცხოო შრომისუნარიანობა. ამისთვის, ძალ-ღონის დაუშურველად, ქმნიდნენ მეცნიერები ბიოდანამატს „კაპილარი“.

**გრიგორი რომანოვი**

## სულთათანა

# სოსო კარტოზია



გარდაიცვალა გვარიშვილობით, ტაქტით, ზრდილობით, ქართული ტრადიციების ერთგულებით გამორჩეული პიროვნება, ჭეშმარიტი მამულიშვილი და მოღვაწე კაცი **იოსებ (სოსო) კარტოზია**.

დაიბადა 1935 წელს სენაკის რაიონის სოფელ ნოქალაქევში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ წარჩინებით დაასრულა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი. შრომითი საქმიანობა დაიწყო მშობლიური რაიონის სოფელ უშაფათის ჩაის ფაბრიკაში. წლების განმავლობაში მუშაობდა ნოსირის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად, სენაკის რაიაღმასკომის თავმჯდომარედ, პარტიის მესტიის რაიკომის პირველ მდივნად... ამ თანამდებობებზე მან თავი გამოიჩინა როგორც ერუდირებულმა, პრინციპულმა, ადამიანებთან შესანატრი ურთიერთობით გამორჩეულმა გულისხმიერმა ხელმძღვანელმა.

ჩვეული პროფესიონალიზმით და შრომისმოყვარეობით მოღვაწეობდა ის თბილისის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ბაზის დირექტორად, 1989-98 წლებში იყო საქართველოს ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე. იმ ურთულეს პერიოდში სოსო კარტოზია მოგვევლინა როგორც სოფლად კოოპერატივების ჩამოყალიბებისა და განვითარების ორგანიზატორი.

სამწუხაროდ, უმძიმესი ოჯახური უბედურების გამო (ტრაგიკულად დაეღუპა უფროსი ვაჟიშვილი), საოცრად ენერგიულმა და ჭარმაგმა სოსო კარტოზიამ ხელი ჩაიქნია „ყოველთა ამაოებათა ამაოება“ წუთისოფელზე, თავი დაანება აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას და მშობლიურ სოფელ ნოქალაქევს მიანდო თავისი დათრგუნული და სევდიანი ცხოვრება...

სოსო კარტოზიას დავიწყება შეუძლებელია. მისი ადამიანური თვისებები — სიკეთე, სიყვარული, თანადგომის და მოყვასის გამხნევების ნიჭი იმის დასტურია, რომ სოსოს ნათელი სული სამოთხეში დაივანებს.

ძვირფასო ძმაო და მეგობარო, მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური ნოქალაქევის მიწა!

**ამხანაგების ჯგუფი**

## გახსენება

# მირიან შაორშაძე



40 დღე გავიდა, რაც ჩვენთან აღარ არის უაღრესად სპეტაკი ადამიანი, რომელმაც იცოდა დიდი მეგობრობისა და სიყვარულის ფასი.

ძალიან ჭკვიანი და გამჭრიახე გონების პატრონი **მირიან შაორშაძე** ცდილობდა ყოველთვის დაესწრო ახალი ტენდენციებისთვის და თავის დარგში შემოეტანა ის სიახლეები, რაც ჯერ არ იყო დანერგილი ჩვენთან. კერძოდ, იგი იყო ავტორი გეოლოგიურ მეცნიერებაში მათემატიკური მეთოდების შემოტანის, რამაც ხელი შეუწყო ამ დარგის განვითარებას საქართველოში.

თითქმის ორმოცდაათწლიანი მოღვაწეობის მანძილზე ჰიდროგეოლოგიიის და საინჟირო გეოლოგიის ინსტიტუტში და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამის კათედრაზე მან დიდი წვლილი შეიტანა ახალგაზრდა გეოლოგთა თაობის აღზრდაში და საერთოდ ქართული გეოლოგიური სკოლის განვითარებაში.

მირიან შაორშაძე არის რამდენიმე მონოგრაფიისა და უმაღლესი სასწავლებლებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოს ავტორი.

სიცოცხლის ბოლო წლებში ჯანმრთელობის გაუარესების გამო, იგი იძულებული გახდა ეცხოვრა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ-იორკში, რათა მუდმივად ყოფილიყო მკურნალი ექიმების ყურადღების ქვეშ. ეს გარემოება მას ძალიან აწუხებდა, რადგანაც სულით და გულით უნდოდა მის მეგობრებთან და ნათესავებთან ყოფნა, მაგრამ უცხოეთშიც მირიანი უსაქმოდ ვერ ჩერდებოდა და მუდმივად წერდა წერილებს სხვადასხვა საკითხზე ნიუ-იორკში ქართველების მიერ დაარსებულ გაზეთში. იგი, აგრეთვე, იყო ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

**მირიან შაორშაძის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებისა და მეგობრების გულში.**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მეგობარსა და კოლეგას აკაკი სიხარულიძეს სიძის**

**გიორგი ჯიბლაძის**

**ტრაგიკულად დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ⦿ გვეკითხებიან — ვუპასუხებთ

### ვლებულობთ მაგალითს ჩინელებისგან

**ამ ზაფხულს ჩემი მეუღლე და მე ვიყავით ჩინეთში. იქ ბევრმა რამემ გამაოცა და, კერძოდ, სურათმა, რომელსაც ყოველ დილით ვხედავდით. სახლების წინ, ეზოებში, პარკებსა და უბრალოდ ქუჩებში ჩინელები ასრულებენ გამაჯანსაღებელ ვარჯიშებს ტაი-ჩის. მინდოდა გამეგო, ნუთუ მართლა ასე სასარგებლოა ეს ვარჯიში, როგორც მათ მიაჩნიათ?**

**მარინა თუთბერიძე, თბილისი**

**გვიპასუხებს ექიმი-თერაპევტი ილია პეტრიაშვილი:**

— ჩინელებს წმინდად სწამთ, რომ ტაი-ჩის შეუძლია მიანიჭოს ადამიანს სიმხნევე და დაეხმაროს გათავისუფლდეს ტკივილებისგან სახსრებსა და კუნთებში. და მათი რწმენა მოჩვენებითი როდია. ტრადიციული ჩინური ვარჯიშების მუდმივი შესრულება ხომ მართლაც უწყობს ხელს გამოჯანმრთელებას და იძლევა მეტ ეფექტს, ვიდრე ჩვეულებრივი ფიზკულტურა. ჩინური ტანვარჯიში გარეგნულად გამოიყურება, როგორც უცნაური ცეკვა, სინამდვილეში კი არის ფიზიკური, ზოგჯერ კი სულიერი სრულყოფისა და თავდაცვის ძლიერი ინსტრუმენტი. ტაი-ჩი —ესაა დგომების, მედიტაციური ტექნიკის და თანაბარი, გრაციოზული მოძრაობების ერთობლივობა. ეს ტანვარჯიში ამაგრებს სახსრებს, იმუნურ და ნერვულ სისტემებს, აუმჯობესებს მოძრაობის კოორდინაციას, ზრდის სხეულის მოქნილობას, აგრეთვე გვასწავლის თვითდაცვის ეფექტიან ილეთებს. ტანვარჯიში ტაი-ჩი ასევე რეკომენდებულია ტრავმის ან მოტეხილობის სარეაბილიტაციო პერიოდის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს. ტაი-ჩით შეიძლება ივარჯიშო ნებისმიერ ასაკში, დაწყებული ექვსი წლიდან.



### გასტრიტისგან დაგვიცავს კომბოსტო

**მაქვს ქრონიკული გასტრიტი. მეგობარი მეუბნება, რომ ჩემი დაავადებისთვის კარგი საშუალებაა კომბოსტოს წვენი უზმოზე. ეს ასეა მართლა? ისე კი, ამ საზიზღრობის დალევა არ მინდოდა.**

**გ.ბერაია, ზუგდიდი**

**გვიპასუხებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი თამარ იოსებიძე:**

— რასაკვირველია, არც გემოთი, არც სურნელით ეს პროდუქტი არ ბრწყინავს, სამაგიეროდ მას სხვა ღირსებები ახასიათებს. ახლადგაწურული კომბოსტოს წვენი — მეტად ეფექტიანი საშუალებაა საკვების მონელების პრობლემების დროს. კომბოსტოს წვენი განსაკუთრებით სასარგებლოა მათთვის, ვისაც გახდომა და ორგანიზმის გაწმენდა სურს. იგი ასევე საჭიროა ყაბზობის, დაქვეითებული სიმჟავის, ქრონიკული გასტრიტის, კუჭისა და 12 გოჯა ნაწლავის წყლულის, ღვიძლისა და ელენთის დაავადებების დროს.



იგი უნდა მოვიღოთ 1-2 ჭიქა 2-3-ჯერ დღეში ჭამამდე ერთი საათით ადრე თბილი სახით. და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავაყაროთ მარილი — წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მავნედ იქცევა. ოღონდ მზად უნდა იყოთ იმისთვის, რომ კომბოსტო იწვევს გაზრდილ გაზის დაგროვებას. ამ წვენით მკურნალობა რომ უფრო სასიამოვნო იყოს, მას შეიძლება შევურიოთ სხვა ბოსტნეულის წვენები. მაგალითად, კიტრის, ჭარხლის და სტაფილოსი. ყოველდღიურად ასეთი ნარევის ნახევარი ლიტრის დალევით თქვენ დიდ დახმარებას გაუწევთ თქვენ ორგანიზმს.

### თიაქარიდან ინსულტამდე

**ამ ცოტა ხნის წინათ გავიგე, რომ ინსულტები ზოგჯერ წარმოიქმნება კისრის ოსტეოქონდროზის გამო. მე კი სწორედ ეს პრობლემა მაწუხებს დიდი ხანია. ახლა კი ვღელავ, ინსულტამდე არ მივიდეს. რა უნდა გავაკეთო, რომ შევამცირო რისკი? და როგორი სიმპტომით შეიძლება გავიგოთ, რომ ინსულტის საფრთხე უკვე საკმაოდ დიდია?**

**რობერტ ნარიმანიძე, ლაგოდეხი**

**გვიპასუხებს ექიმი-ნევროლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ანა ბედიანიძე:**

— მართლაც, ინსულტის პროვოცირება შეიძლება გამოიწვიოს ოსტეოქონდროზმა. ხერხემლის არტერიებში შეიძლება გაჩნდეს მოვლენები, რომლებსაც თავის ტვინის უჯრედების ჟანგბადით შიმშილთან მივყავართ. ხშირად ეს ხდება კისრის განყოფილების დისკოების თიაქარის დროს, როდესაც დისკოს ბირთვი სისხლძარღ-ნერვულ კონას აწვება და იწვევს სისხლით მომარაგების დარღვევას.

სამწუხაროდ, სენის თანხმლები სიმპტომატიკა ატარებს ზუსტ ხასიათს. ისეთ ნიშნებს, როგორებიცაა თავბრუსხვევა, თავის ტკივილი, მხედველობის, მეხსიერებისა და ყურადღების გაუარესება, რომლებიც ხშირად შეინიშნება ტვინის სისხლის მიმოქცევის დარღვევის დროს და იმ ადამიანებშიც, ვისაც აქვთ თავის ტვინის ჯანსაღი სისხლძარღვები. ამიტომ 40 წლის შემდეგ წელიწადში ერთხელ ყველამ უნდა გამოიკვლიოს ტვინის სისხლის მიმოქცევის მდგომარეობა. დაავადების რისკი რომ შეიმციროთ, უნდა უმკურნალოთ თქვენს ოსტეოქონდროზს, რეგულარულად აკონტროლოთ არტერიული წნევა და უარი თქვათ მოწევაზე, თუ ეწევით.

## ⦿ ჩვენი პრესდაიჯესტი

### ვკითხულობთ გაზეთებიდან



### დასავლეთი სააკაშვილს ამიერკავკასიის ოპოზიციის ლიდერად ამზადებს?!

— პრეზიდენტის პოსტიდან წასვლის შემდეგ, დასავლეთი სააკაშვილს ამიერკავკასიის ოპოზიციის ლიდერად მოიაზრებს, ობამასთან შეხვედრა კი გარკვეული ინდულგენცია იყო სააკაშვილისთვის, დასავლეთის მოთხოვნით, იგი თავიდან პასუხისმგებლობას აიცილებს, — ფიქრობს პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე, — სომხეთსა და აზერბაიჯანში ოპოზიცია სუსტია და არ ჰყავს გამოკვეთილი ლიდერი. სააკაშვილი კი თავისი ექსტრავაგანტური აქტიურობით, კონკრეტულად რეალობაში იდეალური ფიგურაა, რომ სათავეში სამი ქვეყნის ოპოზიციას ჩაუდგეს.

**„ქართული სიტყვა“**

### ჯიჰადის საქმე გახსნილია!

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ჟურნალისტებს კითხვაზე, ჯიჰადის ვიდეოების საქმე გამოძიებულია თუ არა, სრულიად მოულოდნელად პასუხობს, რომ ეს საქმე უკვე ერთი თვეა, გამოძიებული და გახსნილია. მინისტრმა პრესას უთხრა, რომ ხუთშაბათს ჯიჰადის სახელით გავრცელებულ ვიდეოებთან დაკავშირებით სპეციალური ბრიფინგი გაიმართება. შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი ნინო გიორგობიანი აზუსტებს, რომ აღნიშნულ საქმეზე ბრალდებული პირი უკვე დადგენილია და მას სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა.

**„ახალი თაობა“**

### დავით ჩაგინავა დააკავეს

მიმდინარე წლის 30 სექტემბერს თბილისის, ანკარასა და ვენის ინტერპოლების თანამშრომლობის შედეგად, სამართალდამცავებმა ავსტრიის რესპუბლიკაში წითელი ცირკულარით ძებნილი 1978 წელს დაბადებული დავით ჩაგინავა დააკავეს. დავით ჩაგინავა, ინტერპოლის წითელი ცირკულარით დაპატიმრებისა და ექსტრადაციის მიზნით, საერთაშორისო ძებნაშია 2013 წლის 10 სექტემბრიდან, მას ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის უამრავი მუხლით ჩადენილი დანაშაულები. იგი მეგის ქარდავას მიერ შექმნილი დანაშაულებრივი ჯგუფის აქტიური წევრი იყო.

**„რეზონანსი“**

### „დიდი შეცდომა მოუვიდა პრემიერ-მინისტრს ამ განცხადებით...“

— ბიძინა ივანიშვილის განცხადება ზურაბ ადეიშვილზე პირადად ჩემთვის ძალიან შეურაცხმყოფელი იყო, — ამბობს მთავარი პროკურატურის ყოფილი პროკურორი და ადვოკატი მირიან ნიკოლაძე, — გარდა იმისა, რომ მე ვარ ადვოკატი, თავად გახლავართ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი... ივანიშვილის განცხადება დაახლოებით იმას ჰგავს, ფაშიზმის მსხვერპლს რომ უქადაგო ჰიტლერი ძალიან ნიჭიერი ადამიანი იყოო. რაც შეეხება ადეიშვილის ნიჭიერებსა და წესიერებას, ხმამაღლა მინდა ვთქვა, რომ სისტემა არავის არ ხრწნის და არავის არ რყვნის, სისტემა უკეთებს მობილიზებას გახრწნილებასა და გარყვნილებას. ადეიშვილში შინაგანად იმდენად ბოლმა იდო, რომ ის ვერავის ხელში ვერ იქნებოდა კეთილშობილი ხელმძღვანელი.

**„ალია“**

## ⦿ კადრი



რეკლამა გ. ახვლედიანის ქ.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ⦿ ცინცხალი ანეკდოტები

— კიდევ თუნდაც ერთ სიტყვას იტყვი და საბოლოოდ მივდივარ შენგან დედაჩემთან! — ეუბნება ცოლი ქმარს.

— ტაქსი! — წამოიყვირებს ქმარი.

* * *

— ჩვენთან ყველა ხელმძღვანელი ქათმისებრთა ოჯახიდანაა. მაგალითად, ქათამაძე, მამალაძე, ქორიძე, ბუაძე, შევარდნაძე...



— ჭიაბერაშვილი?..

— ჭიაბერაშვილი... ჭიაბერაშვილი მატლია!!!

* * *

— მიხო, სამოცდაათი წლის ასაკშიც ისეთივე ჯანის პატრონი ვარ, როგორისაც ვიყავი ამ ორმოცი წლის წინათ.

— საიდან დაასკვენი?

— იმ ლოდს ხედავ? ვერც მაშინ ავწიე და ვერც ახლა ვწევ.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24